საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 92 (636) ოთხშაბათი, 5 მაისი, 1993 წელი. ფასი 5 კუპონი.

# არასაპოლემიკო სტილით?!

**სპიკერს ეტყობა ტანი უგრძნობდა: სხდომის დაწყებისას გამოაცხადა, დღის წესრიგამდე რამდენიმე განცხადება გვაქვს მოსასმენი და ძალიან გთხოვთ მხოლოდ მოვისმინოთ ისინი, დებატებს ნუ მოვაწყობთ, არასაპოლემიკო სტილით ვიმუშაოთო.**

**აბა, ვნახოთ, როგორ შესრულდა ბატონი ვახტანგ გოგუაძის ეს თხოვნა.**

### მოლაპარაკების თემა — რუსეთის ჯარის გაყვანის გრაფიკი

**დაწყებით** კი წყნარად დაიწყო სხდომა. ბატონმა ნოდარ ნათაძემ თქვა, რომ დანიშნულია შეხვედრა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობასთან რუსეთის საჯარისო შენაერთების საქართველოდან გაყვანის გრაფიკის შესახებ, რომ აქამდე მკაფიოდ არ გვითქვამს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარის ყოფნის გაუმართლებლობის შესახებ და რომ ახლა საჭიროა ჩვენმა პარლამენტმა მიიღოს მიმართვა რუსეთის პარლამენტისადმი. გარდა ამისა, აუცილებელია შევიმუშაოთ ჯარების მართვის სისტემა. უამისოდ შიდა პრობლემებს ვერ მოვაგვარებთო.

### პირველი ბზარი

**სპიკერის** სურვილს არასაპოლემიკო სტილით მუშაობის თაობაზე პირველი ბზარი გიორგი ხავთასის გამოსვლის შემდეგ გაუჩნდა, აპოგეას კი ცოტა შემდეგ — ცაცა შელიას და ვაჟა ადამიას გამოსვლების დროს მიაღწია. საქმე ის გახლავთ, რომ წინა, ხუთშაბათის სხდომაზე დეპუტატმა ხავთასმა თქვა; წალენჯიხის რაიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილების შესვლაა დაგეგმილი, და რადგან სამეგრელოს რეგიონში სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირების გამოჩენა გარკვეულ ასოციაციებს იწვევს, რაიმე ზომები მივიღოთო. მაშინ სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, ამის შესახებ არაფერი ვიცი, რამდენიმეკაციანი კომისია შეადგინეთ და ადგილზე ჩადით მდგომარეობის გასარკვევადო.

— ჩვენ არსად წავსულვართ, — თქვა უკვე გუშინდელ სხდომაზე გიორგი ხავთასმა, — რადგან გამოდის, რომ წალენჯიხაში შეიარაღებული ნაწილების მოსალოდნელი შესვლის შესახებ არავინ არაფერი იცის, გეგმა კი არსებობდა. ჯერ გაირკვეს ყველაფერი, მოვლენებს თავისი სახელი მოეძებნოს და, თუ საჭირო გახდება, კომისია მერე წავა ადგილზე.

### სამინისტრო — თავდაცვის თუ თავდასხმის?

**საკითხი** ამგვარად იზა ორჯონიკიძემ დასვა თენგიზ დიხამინჯიას და ცაცა შელიას გამოსვლების შემდეგ და თან დაამატა, ასე თუ განვაგრძობთ, იდეალებს კი არა, ცოტა უფრო მეტსაც დავკარგავთო.

წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში არსებულ სიტუაციაზე ცაცა შელიას ინფორმაციას კი ბატონი ჯაბა იოსელიანის მძაფრი რეაქცია მოყვა — იქ ბანდები იმიტომ თარეშობენ, რომ აქედან არის მხარდაჭერა, თვით პარლამენტიდანაც კიო.

თედო პაატაშვილმა ადგილიდან რეპლიკა ისროლა: წალენჯიხის აქცია აფხაზეთიდან მეგრელების უკან გამოსვლის მიზნით ეწყობოდაო, რაზეც არავინ შეკამათებია.

ბატონმა ვაჟა ადამიამ თავის გამოსვლაში დეპუტატების ყურადღება მიაქცია წალენჯიხის აქციის მოსალოდნელ გამოუსწორებელ შედეგებს. „ჩვენ ამის სამწუხარო გამოცდილება გვაქვს. მაინც ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ლოთი ქობალია თავისი რაზმით აფხაზეთიდან გამოსულიყო. აქ საქმე ერთი კუთხის დაცვას არ ეხება. აქ მთლიანად საქართველოს ინტერესები ითელება და მთავარი ეს არის სწორედ. ამიტომ მოვითხოვთ გაირკვეს ყველაფერი, გამოჩნდეს, თუ ვინ აფათურებს ხელებს ესოდენ მნიშვნელოვან საქმეში".

სხვისა არ ვიცი, მე კი ასეთ დროს აზროვნების ძაფი მიწყდება. წარმოდგენა იმისა, რომ ვიღაც დაინტერესებულია ომის გაგრძელებით, ვიღაცას საქართველოს შედუღაბება არ სურს და არა მხოლოდ არ სურს, არამედ ხელსაც უშლის ამას, არათუ მიჭირს, არ შემიძლია. შეფასებაზე და კომენტარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

### თორემ... მერე რა?

**ბატონმა** თენგიზ კიტოვანმა თავის გამოსვლაში პირდაპირ თქვა, დასავლეთის იმედი ამაოდ გვაქვს, ჩვენ თავს მარტო ჩვენ თუ მოვუვლით, დასავლეთი რუსეთს დიდ ანგარიშს უწევს და ჩვენს გამო არ აწყენინებსო.

თედო პაატაშვილი (ადგილიდან): მაშ დავნებდეთ რუსეთს?

— არა, რაკი ომს ვერ მოვუგებთ, პოლიტიკურ ბრძოლაზე უნდა გადავიდეთ.

— ეგ დიდი ხანია მიმდინარეობს.

— უკეთ უნდა ვიმოქმედოთ. ამოდენა მონსტრთან ბრძოლა, რომელსაც თავი იაპონიასთან უდევს, ფეხი კი ევროპაზე აქვს გადებული, უფრო ეფექტური საშუალებებით არის საჭირო. აფხაზები სწორედ იქ, რუსეთში მუშაობენ კარგად, ჩვენ — ვერა.

— დადგენილებები გვაქვს მიღებული, რომლებსაც განხორციელება უნდა.

— გაიგეთ, ბატონებო, ჩიხში ვართ მომწყვდეულნი. სხვაგვარი მუშაობაა საჭირო — მოლაპარაკებები, დახვეწილი დიპლომატია. სიმართლე უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, სხვა გზა არ გვაქვს.

თენგიზ დიხამინჯია (ადგილიდან): წალენჯიხის ინციდენტზე გვითხარით რამე.

— იქ არ ვყოფილვარ, ამიტომ ამაზე არაფერი ვიცი. ეტყობა ვიღაცას სჭირდება უკუღმა სიარული, არეულობა. ეს ამბები სწორედ მან დაატრიალა, როცა ლოთი ქობალია ოჩამჩირეში შევიდა.

## პარლამენტის სადაგი დღეები

— მიაღწიეს კიდეც რაც უნდოდათ, ქობალია უკან წამოვიდა.

— უნდა გამოვარკვიოთ ვის აძლევს ეს ხელს...

ბოლოს მინისტრმა კატეგორიულად მოითხოვა პარლამენტმა რაიმე ზღონოს მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ გაუთავებელი მითქმა-მოთქმის შესაწყვეტადო, რაზეც იზა ორჯონიკიძემ იქით უსაყვედურა ბატონ მინისტრს: „ზოგჯერ თქვენც ცდებით. მაგალითად პრესკონფერენციაზე რომ ამბობთ, ჩემს საკითხს არმია და ხალხი გადაწყვეტს, პარლამენტი რა შუაშიაო, ამით თქვენ ხუმრობთ, თენგიზ, ჩვენ კი არ გვეხუმრება"... თუმცა ვეჭვობ, ამ გაუსაძლის ყოფაში დღეს ვისმე ეხუმრებოდეს, მითუმეტეს — თავდაცვის მინისტრს.

ჭაბუა ამირეჯიბი: „თითის ქნევით რომ ველაპარაკებით რუსეთს „გაიყვანე შენი ჯარი, თორემ..." იმას ვერ ვგრძნობთ ხოლმე, რომ აი ამ „თორემზე" ვეჭვდებით, რომ არ გაიყვანოს, მერე?".

### მცირე ანალიზი „მერე"-ს შემდეგ

**მერე...** ყველას თავისი აზრი აქვს. ზოგს კი სულაც არა აქვს ის (აზრი). ამიტომაც ვართ ამ დღეში.

სხდომის პირველი ნახევარი ასე ამოიწურა. თავად ნახეთ — განსახილველი საკითხების არც პრობლემატიკა, არც არეალი, არც, თუ გნებავთ, განხილვის ფორმა საპარლამენტო არ არის. ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ჩვენი პარლამენტი უკეთეს შემთხვევაში ნელ-ნელა საფიხვნოს ემსგავსება, უარესში კი — საინფორმაციო მიტინგს. გასაგებია, ასეთ საზიზღარ და უსამართლო ომში ჩათრეულ ქვეყანაში ყველაფერი, მათ შორის პარლამენტიც კი, იდეალურად დალაგებული ვერ იქნება, მაგრამ საზღვრის ფარგლები და ჩარჩოები მთლად არ უნდა წაიშალოს.

ჩიხში ვართო, — ბატონმა მინისტრმა თქვა, აზროვნების ჩიხშიც ხომ არ ვემწყვდევით ჩვენდა უნებურად?! ეგებ ტელეეკრანმა, პარლამენტის საქმიანობის გაშუქების ამ უცნაურმა ფორმამ, მაყურებლის თუ ამომრჩევლის ცნობიერება გადაასხვაფერა და ყველაფერს, ყველა პრობლემის დასმას და გადაწყვეტას პარლამენტისგან მოითხოვს? პარლამენტიც, თითქოს მისდა უნებურად, ფუნქციებს იცვლის. სპიკერის სწორი ინტუიცია და წინასწარი გაფრთხილებაც საქმეს ველარ შველის. იქნებ საჯაროობა არაფერ შუაშია და ამის მიზეზი სულ სხვაგან არის საძებარი.

დილის სხდომის მეორე ნახევარი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს მიეძღვნა. მიიღეს დადგენილებები საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა მიღების მოწესრიგების ღონისძიებათა, პარლამენტისა და მისი აპარატის კავშირგაბმულობის საშუალებებით აღჭურვის ღონისძიებათა, „შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის არჩევის" შესახებ.

### აურზაური... რის გამო!?

**საღამოს** სხდომაზე, როდესაც საკითხის აგრე გამწვავების გამო მასში სინათლის შეტანის მიზნით საჭირო გახდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოწვევა, საუბარმა ისეთი მიმართულება მიიღო, რომელიც დაახლოებით ერთი პიესის სახელწოდებით შეიძლება გამოითქვას — „აურზაური არაფრის გამო".

შინაგან საქმეთა მინისტრმა თემურ ხაჩიშვილმა თქვა, რომ გზებზე წესრიგის დამყარების მიზნით მან საგზაო პოლიციის ერთი ნაწილით სამტრედია-ხობის ტრასა „გაამაგრა". ხოლო თუ ლოთი ქობალია, რომელსაც საკუთარი სიტყვა თითქმის არასოდეს დაუცავს, საბაბს ეძებდა ოჩამჩირედან უკუსაქცევად, ეს რა პოლიციის ბრალიაო. მინისტრის აზრი ბევრმა გაიზიარა, ბევრმაც — არა. ოპონენტების არგუმენტები ძირითადად ემყარებოდა იმას, რომ საერთოდ, რასაკვირველია, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე პოლიციის ნაწილების გადაადგილება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ამგვარ განსაკუთრებულ სიტუაციაში და თანაც ისეთ ტრავმირებულ რეგიონში, როგორიც სამეგრელოა, უფრო ფრთხილად უნდა შევარჩიოთ ამნაირ ღონისძიებათა დრო და ფორმა.

— და საერთოდ, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა თავის გამოსვლაში ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ ყველაფერზე ვნებათა ღელვის ასეთი ვეებერთელა ტალღა ავაგორეთ, არსებითად ვერანაირ საკითხს ვერ გადავწყვეტთ.

საკითხის განხილვა გასრულდა, საკითხისა, რომელიც, როგორც მეტ-ნაკლებად ყველა საკითხისა, აისბერგივით არის — ყველაფერი ზედაპირზე არ მოჩანს, წყლის ქვეშ კი ბევრი რამ არ ჩანს. ამიტომ ისღა დამრჩენია ნასესხები სათაურის ბოლოში კითხვის ნიშანი და სამი წერტილი დავსვა — „აურზაური არაფრის გამო?"... და მოვათავო.

### ვინ ვინ არის... დროა გაირკვეს

**სხდომის** ბოლოს ირინე სარიშვილმა ბლოკ „ეროვნულ-დემოკრატის" სახელით გააკეთა განცხადება, რომელშიც ორი კონკრეტული მოთხოვნა დააყენა. 1. სასწრაფოდ, — მომავალი კვირის ბოლომდე, — გაირკვეს თავდაცვის მინისტრის და ამ ბლოკის ვიცე-პრემიერის ვინაობა. პარლამენტმა იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს ამის თაობაზე. 2. სახელმწიფოს მეთაურმა შეასრულოს დანაპირები და ბოლოს და ბოლოს გაირკვეს ვინ ვინ არის — ვინ ვართ ჩვენ და ვინ არიან ის ძალები, პრობლემად რომ ქცეულან ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე.

ფრაქცია „რესპუბლიკელებმა" ამის პასუხად პარლამენტს შეახსენეს ამ ორიოდე სხდომის წინ გაკეთებული თავიანთი განცხადება სახელისუფლო სტრუქტურების მთლიანი რეორგანიზაციის შესახებ და მოითხოვეს ბლოკ „ეროვნულ-დემოკრატის" მოთხოვნა სწორედ მათ წინადადებასთან კონტექსტში განიხილონ.

— ნამდვილად მოვიდა დრო, როდესაც საჭიროა ყველა ადგილზე კანონიერად დანიშნული პიროვნება იყოს, — თქვა სხდომის ბოლოს გამოსვლაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — მე მზადა ვარ წარმოვადგინო კანდიდატურები და განვიხილოთ ისინი. „რესპუბლიკელებს" ვეთანხმები, — აღნიშნა მან, — თუმცაღა ჩემი პირველი რეაქცია ნეგატიური იყო მათი წინადადების მიმართ, — საჭიროა რეორგანიზაცია, მაგრამ ამ სიტუაციაში, როდესაც ასე უჭირს ქვეყანას, ამოდენა რეორგანიზაციის წამოწყება დროული არ იქნება, რადგან მას დიდი დრო და ენერგია დასჭირდება, ამიტომ ეს საკითხი ცოტა ხნით გადავდოთ.

**გალინა ხარებაშვილი,**
„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო კორესპონდენტი.

---

## წუხელ შევიტყვეთ

### ცნობები აფხაზეთიდან

**აფხაზეთში** განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 3 მაისს მოწინააღმდეგემ დღის განმავლობაში 3-ჯერ დაბომბა სოხუმი. პირველად ქალაქის შუქურის რაიონს 13 საათისათვის ცეცხლი დაუშინეს ეშერის საბრძოლო პოზიციაზე გამოყვანილი ტანკების ქვემეხებიდან.

ამ დაბომბვას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია. 14 საათისათვის მოწინააღმდეგემ კვლავ გახსნა ცეცხლი ნაღმსატყორცნებიდან, ამჯერად ახალი რაიონის მიმართულებით. აქ აფეთქებულმა თორმეტმა ჭურვმა იმსხვერპლა ორი მოქალაქე და დაჭრა რვა კაცი.

მესამედ ქალაქი დაიბომბა 18 საათისათვის, როდესაც მოწინააღმდეგემ სოხუმის ცენტრალურ რაიონს ცეცხლი დაუშინა „გრადის" ტიპის რეაქტიული დანადგარებიდან და ქალაქის მიმართულებით ისროლა 80-მდე რაკეტა. წინასწარი მონაცემებით, აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა ხუთი მოქალაქე. მნიშვნელოვნად დაზიანდა 10-ზე მეტი სახლი. რამდენიმე მათგანს გაუჩნდა ხანძარი, რომელიც სასწრაფოდ იქნა ლიკვიდირებული. ქალაქის სამივე დაბომბვის დაწყებისთანავე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგეს დაუყოვნებლივ გაუხსნეს საპასუხო საარტილერიო ცეცხლი, რითაც საგრძნობლად შეასუსტეს საარტილერიო დარტყმის სიძლიერე, ხოლო გარკვეულ ხანს საბრძოლო პოზიციებზე მიმდინარე ბრძოლების შემდეგ სამჯერვე აიძულეს მოწინააღმდეგე, შეეწყვიტა ქალაქის დაბომბვა.

**იოსებ ბობეჩია.**

●

### სოხუმის დაბომბვა განახლდა

4 მაისს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგემ კვლავ გახსნა ცეცხლი სოხუმის მიმართულებით. იგი ისროდა ნაღმსატყორცნებიდან.

წინასწარი მონაცემებით დაიღუპა ერთი და დაიჭრა ორი მშვიდობიანი მოქალაქე.

მდინარე გუმისთაზე მიმდინარეობდა ორმხრივი პოზიციური ბრძოლა, რომელმაც 13 საათამდე გასტანა.

**სიჩუმე**, რომელიც 13 საათის შემდეგ დამყარდა სოხუმში, მოჩვენებითი აღმოჩნდა. 16 საათზე მოწინააღმდეგემ განაახლა ქალაქის საარტილერიო დაბომბვა. ამჯერად ისროდა მსხვილკალიბრიანი ქვემეხებიდან „გაუბიცა". წინასწარი მონაცემებით მსხვერპლი არ არის.

გუშინ, ქალაქის დაბომბვის დროს აქ იმყოფებოდა გაეროს წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის ბარბაროსული ულეტის უშუალო მოწმე გახდა. ჯგუფის ხელმძღვანელმა პროტესტი განუცხადა აფხაზეთის მხარეს. მოგვიანებით ჯგუფის ერთ-ერთი წევრი — გაეროს ჰუმანიტარული დეპარტამენტის წარმომადგენელი, შვეიცარიელი მოქალაქე, წარმოშობით რუსი პეტრე ორლოვი შოკში ჩავარდა და საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმების აზრით საშიში არაფერია — უბრალოდ მან, დაბომბვის შემსწრემ, ნერვიული სტრესი მიიღო.

---

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საინფორმაციო კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

---

## ნომერში

- ომი ყველაფერს არ ჩამოწერს ანუ დაპირისპირების ფესვები. 2
- პირველი საოჯახო სამედიცინო საკონსულტაციო სამსახური თბილისში. 4

---

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა მიღების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

**საქართველოს** პარლამენტში მოქალაქეთა მიღების მოწესრიგების, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე წარმართვისა და მისი შედეგიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს პარლამენტის სპიკერის, მისი მოადგილეებისა და პარლამენტის კომისიების მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღე და საათი.

2. პარლამენტში მიღების მსურველი მოქალაქეები აღრიცხოს პარლამენტის აპარატის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილებამ, იქვე გაესაუბრონ მათ, შეადგინონ სია და აღნიშნონ პარლამენტის [illegible] მისიის [illegible] საკითხები.

განყოფილებამ მიღების მსურველთა სიის შესაბამისად წინასწარ დროულად შეატყობინოს პარლამენტისა და კომისიების ხელმძღვანელებს მისაღებ მოქალაქეთა რაოდენობა და განსახილველი საკითხები.

3. პარლამენტის ხელმძღვანელებთან მოქალაქეთა მიღებას უნდა ესწრებოდეს პარლამენტის აპარატის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილების მუშაკი, რომელიც სპიკერის ან მისი მოადგილეების სათანადო რეზოლუციების შემდეგ შესაბამისი ორგანიზაციის სახელზე ამზადებს წერილებს, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის აპარატის უფროსი.

4. პარლამენტის აპარატის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილებამ:

ა) აღრიცხოს მოქალაქეთა მიღების დროს წამოჭრილ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებანი;

ბ) თუ დასმული საკითხების გადაწყვეტა არ შედის პარლამენტისა და მისი კომისიების კომპეტენციაში, დანიშნულებისამებრ გაგზავნოს მოქალაქენი და დაეხმაროს [illegible] საკითხების [illegible];

გ) ყოველკვარტალურად და წლიურად გააანალიზოს პარლამენტში მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს პარლამენტის ხელმძღვანელობას;

დ) პერიოდულად შეისწავლოს და გააანალიზოს ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობებში პარლამენტის წევრთა მიერ მოქალაქეთა მიღების პრაქტიკა, სათანადო კონსულტაცია გაუწიოს წარმომადგენლობათა მუშაკებს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი. 1993 წლის 4 მაისი.

---

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### პარლამენტისა და მისი აპარატის კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და თანამდებობის პირთა მაღალი სიხშირის ტელეფონებითა და ტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობის შესწავლის შესახებ

**იმის** გათვალისწინებით, რომ პარლამენტის კომისიები, ფრაქციები და პარლამენტის აპარატის განყოფილებები ნაწილობრივ განლაგდნენ პარლამენტის შენობაში (ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობა),

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და კავშირგაბმულობის სამინისტროს კავშირგაბმულობის არსებულ საშუალებათა გადანაწილებით უზრუნველყონ პარლამენტის კომისიათა თავმჯდომარეების მოადგილეები, ქვეკომისიათა თავმჯდომარეები, მდივნები, ფრაქციათა თავმჯდომარეები, აპარატის განყოფილებათა გამგეები, ხოლო ახალი, 2.000-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურის დამთავრების შემდეგ, პარლამენტის ყველა წევრი მთავრობისა და საქალაქთაშორისო ტელეფონებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და კავშირგაბმულობის სამინისტრომ საქართველოს პარლამენტს მიმდინარე წლის 20 მაისისათვის მოახსენონ ამ დადგენილების შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებათა თაობაზე.

3. დაევალოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიას შეისწავლოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობით ორგანოთა თანამდებობის პირების მაღალი სიხშირის ტელეფონებითა და ტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობა და ორი კვირის ვადაში მოახსენოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი. 1993 წლის 4 მაისი.

---

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის შემადგენლობაში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა არჩევის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის შემადგენლობაში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებად:

პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

**წევრები:**

**ზურაბ ანდრიაძე; მალხაზ ბარამიძე; გიორგი გაჩეჩილაძე; გივი ლომინაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი. 1993 წლის 4 მაისი.

---

## ელჩების მიღება

**— საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საფრანგეთის რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის, ამ ქვეყანასთან მჭიდრო მეგობრული და საქმიანი კონტაქტების დამყარებას, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ბერნარ ფასიესთან საუბრისას, რომელიც 4 მაისს გაიმართა.**

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობას არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის თვალსაზრისით, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებში ერთობლივი საქმიანობისთვისაც, რომლის მიზანია ურთიერთობის ახალი, უფრო საიმედო მექანიზმების შექმნა.

ბატონმა ფასიემ საქართველოს პრემიერ-მინისტრი საფრანგეთში მიიპატიჟა.

**4 მაისს** რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ბერნარ ფასიე.

საუბრის დროს ორივე მხარემ გამოთქვა მისწრაფება, მიაღწიონ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ხასიათის ორმხრივ შეთანხმებებს.

**4 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვან ფენ სიანი მიიღო მისი თხოვნით.**

საუბრის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები, განაცხადეს, რომ ორივე მხარე ისწრაფვის ხელი შეუწყოს უწინარეს ყოვლისა ჩინეთისა და საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას.

---

# წარმატების საწინდარია ერთობლივი ძალისხმევა

**როგორც** ცნობილია, საქართველოს პარლამენტის წევრთა დი[illegible] აჭარაში. [illegible] ეწვიენ [illegible] წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახლობის გიმნაზიას, „სარფის" საკონტროლო-გასაშვებ პუნქტს, დაათვალიერეს ახალი საბაჟო, სხვა ღირსშესანიშნაობანი, ჰქონდათ შეხვედრები და საუბრები აჭარის მოსახლეობასთან და ხელმძღვანელობასთან.

აჭარის უზენაესი საბჭოს განახლებულ შენობაში გაიმართა პარლამენტართა მიღება. მიესალმა რა სტუმრებს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ ილაპარაკა აჭარაში საქმის ვითარებაზე, იმაზე, თუ რა კეთდება მისი ეკონომიკის განვითარებისათვის, სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის. კერძოდ, აღინიშნა, რომ აჭარის ხუთივე რაიონი განთავისუფლებულია სხვადასხვა გადასახადისაგან, მთის რეგიონების მცხოვრებნი კი უფასოდ სარგებლობენ ელექტროენერგიით. ქმედითი დახმარება ეწევათ მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა დედებს, ინვალიდებს, გაჭირვებულ პენსიონერებს, ობლებს. განსაკუთრებული მზრუნველობით არიან მოსილი ბავშვები. ჩვენ, თქვა ასლან აბაშიძემ, უნდა აღვზარდოთ ჯანსაღი და ძლიერი თაობა, რომელიც შეძლებს აშენოს საქართველო, ახლა რომ პირველ ნაბიჯებს დგამს თავისი დამოუკიდებლობის გზაზე.

აღინიშნა, რომ დღეს, როცა ბევრ ადგილას არ არის სიმშვიდე და კონფლიქტები მიმდინარეობს, აჭარაში სტაბილური ვითარებაა, მიმდინარეობს აქტიური მშენებლობა. 1991 წლის ივლისის წყალდიდობის შემდეგ აღდგენილი და აშენებულია 105 ხიდი, ოთხი სკოლა, საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩაქვი-ბათუმის 28-ე კილომეტრიანი წყალსადენი, გაიხსნა საქართველოში პირველი სასულიერო გიმნაზია. ასლან აბაშიძემ დამსწრეთ გააცნო გაწეული მუშაობა, მისი შედეგები, ილაპარაკა რუსეთის სხვადასხვა რეგიონთან და საზღვარგარეთის ფირმებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებაზე, აჩვენა მათ მიერ შემუშავებული აჭარის მომავალ მშენებლობათა პროექტები.

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე შეეხო აფხაზეთის კონფლიქტს და თქვა, რომ მან შესთავაზა მის მოწესრიგებაში მონაწილეობა, მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობის აზრით, ეს შეიძლებოდა სხვაგვარად გაეგოთ. რაც შეეხება დახმარებას, მას ვუწევთ. აფხაზეთში მილიარდი მანეთის მარტო ნავთობპროდუქტები გაიგზავნა. ამას გარდა, აჭარა ეხმარება აფხაზეთის მოსახლეობასა და იქ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს კვების პროდუქტებით, უგზავნის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თეთრეულს, მედიკამენტებს.

ასლან აბაშიძემ აღშფოთებით ილაპარაკა დეზინფორმაციაზე, რომელსაც ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალება ავრცელებს აჭარის შესახებ. არიან ძალები, თქვა მან, რომლებსაც სურთ, რომ ჩვენში იყოს კონფლიქტი. მაგრამ, თუ ეს მოხდა, შედეგები შეიძლება გაუთვალისწინებელი მოჰყვეს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მადლობა გადაუხადა ასლან აბაშიძეს გულთბილი მიღებისათვის, აღნიშნა, რომ აჭარაში ნამდვილად სტაბილური ვითარებაა, რომ აქ ყველაფერი კეთდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის არა მარტო ამ რეგიონში, არამედ მთელ საქართველოშიც. მან იმედი გამოთქვა, რომ ცენტრისა და რეგიონების ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს რესპუბლიკა შეძლებს გამოვიდეს კრიზისიდან, მიაღწიოს სასურველ წარმატებებს ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

---

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები გმობენ სოხუმის დაბომბვას

„**გრადის**" დანადგარებით აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების მიერ 3 მაისს სოხუმის მასირებული დაბომბვა გულისწყრომით დაგმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა პერ კარსტრემმა, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქში იმყოფებოდა ცეცხლის დაშენის დროს. საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა:

— არაერთხელ მითქვამს, რომ დაუშვებელია სამხედრო მიზნის სახით სამოქალაქო მოსახლეობისათვის ცეცხლის დაშენა, რადგან ვიცოდი, რომ ორივე მხარეს ექნებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი. მაგრამ დღეს პირველად ვნახე საკუთარი თვალით ეს მსხვერპლი და ძალიან შეწუხებული ვარ, მტკიცე პროტესტს ვუცხადებ გუდაუთის მხარეს და ოფიციალურად მოვითხოვ შეწყვიტოს მშვიდობიან ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა. ეს ტერორისტული დაბომბვაა. გუდაუთაში ქართველთა მხრიდან ასეთსავე ცეცხლის დაშენას რომ შევსწრებოდი, ანალოგიურ პროტესტს გამოვთქვამდი. ამგვარი აქციები ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო წესსა და საომარი მოქმედების წარმოების კანონებს. აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე პირველი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა გახდეს მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვისა და საარტილერიო ცეცხლის დაშენის შეწყვეტა. ვფიქრობ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია ხელი შეუწყოს სამშვიდობო პროცესს.

ამავე დროს პერ კარსტრემმა ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ გადადგამს არავითარ სამშვიდობო ნაბიჯს, თუ ამას არ მოითხოვს კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე. მხოლოდ საერთო შეცადინეობით შეიძლება წარმატების მოპოვება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მსოფლიო გაერთიანება არ დაუშვებს სამოქალაქო მოსახლეობის დაბომბვებს, — თქვა მან.

მთლიანად დაეთანხმა პერ კარსტრემის აზრს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანიტარული დეპარტამენტის წარმომადგენელი პიტერ ორლოვიც. როგორც ცნობილია, მას შტაბ-ბინა ჟენევაში აქვს.

ჩემი მისია წმინდა ჰუმანურია, — თქვა მან, — აქ ჩამოვედი გადავწყვიტო იმ ადამიანთა დახმარების საკითხები, რომლებიც ომის გამო იტანჯებიან. და აი, ცეცხლის დაშენის მოწმე გავხდი. საზარელ მორალურ მდგომარეობაში ვარ მას შემდეგ, რაც ვნახე ოთხი მოკლული მშვიდობიანი მცხოვრები სოხუმის ჯერ კიდევ ცეცხლწაკიდებულ ქუჩებში... აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ ამჯერად ქალაქის საცხოვრებელი უბნების დაბომბვის დროს, რაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ქვემო ეშერის სეისმური ლაბორატორიის ტერიტორიიდან წარმოებდა, დაიღუპა 9 და დაიჭრა 30 კაცი. დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, დაზიანდა სახელმწიფო დაწესებულებები, მათ შორის საქალაქო პოლიციის შენობაც.

— მსოფლიო გაერთიანება შეიძლება დარწმუნდეს, რომ არაფერს არ ვაზვიადებთ, როცა ვეუწყებით ხოლმე უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვის შესახებ სოხუმის ბარბაროსული დაბომბვების დროს, — აღნიშნა მან. — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები თავად მოხვდნენ ასეთ დაბომბვაში, თვალნათლივ დაინახეს მისი შედეგები, და რა თქმა უნდა მსოფლიოს ამცნობენ სიმართლეს.

---

## საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის

# განცხადება

**3 მაისს** რამდენიმეჯერ ბარბაროსულად დაიბომბა ქ. სოხუმი. მასირებულ თავდასხმაში გამოყენებული იყო 150 მმ-იანი ჰაუბიცები და „გრადის" ტიპის დანადგარები. ქალაქის ცენტრში, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა ცხოვრობს და ეს კარგად არის ცნობილი მოწინააღმდეგისათვის, აფეთქდა 50-ზე მეტი ჭურვი. ისროდნენ ეშერის ლაბორატორიის ტერიტორიიდან, სადაც დისლოცირებულია რუსეთის შეიარაღებული ძალების ბატალიონი. დაინგრა და განადგურდა საცხოვრებელი სახლები, დაიღუპა შვიდი კაცი, მათ შორის 4 რუსი, 1 ქართველი, ორის ამოცნობა ვერ მოხერხდა, მძიმედ დაიჭრა 29. დიახ! ბომბები ადამიანებს არ არჩევენ ეროვნების მიხედვით...

სოხუმის დაბომბვის დროს ქალაქში იმყოფებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები და საქართველოში რუსეთის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკი. ისინი გახდნენ ამ თავდასხმის თვითმხილველნი. საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს და გუდაუთის დაჯგუფების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვეს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა.

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტი კიდევ ერთხელ დაბეჯითებით აცხადებს, რომ ამ სასტიკი სისხლისღვრის შეწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა რუსეთის სამხედრო ფორმირებების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან. ეს უნდა გაიგონ აფხაზებმაც და ქართველებმაც. ამ აზრს უნდა შეეგუონ რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირებიც. კომიტეტი მიმართავს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხმა აიმაღლონ იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს მიმართ. ჩვენს შინაგან საქმეებში უხეშად ერევიან რუსეთის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი რუსეთის უმაღლესი საბჭო და მისი ცალკეული დეპუტატები.

დგას ქართველი და აფხაზი ხალხების ყოფნა-არყოფნის საკითხი. ნუ შევწირავთ პოლიტიკანების ბინძურ თამაშს ამ ხალხების მომავალს.

მივმართავთ მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს, მხარი დაუჭირონ სიმართლეს,

აფხაზეთი: რეპორტაჟი ომიდან

# ომი ყველაფერს არ ჩამოწერს

### გამოცდა

მძიმე ზამთრის შემდეგ გაზაფხული ტაატით მკვიდრდება სოხუმში. ორიოდ დღით გამოიდარა და ისევ დაიქარგა, ჰორიზონტი — მღვრიე ბურუსმა შეადიდა ცა და ზღვა; ცივი ქინქლი უფრო მიუსაფარ და პირქუშ იერს აძლევს ფრონტისპირა ქალაქის ცარიელ ქუჩებს. დრო და დრო ქვემეხის ქუხილი შეატორტმანებს სიჩუმეს და კანტიკუნტი გამვლელი საქმიანად აყურადებს, საიდან იყო ჭურვი: ეშერიდან — აქეთ, თუ — პირიქით, ისინი მიეჩვივნენ სროლას. მათთვის ომი რახანია სადაგი რეალობაა, როგორც იტყვიან, ანფასსა და პროფილში.

სოხუმი ის აღარ არის, რაც გვახსოვს და გვიყვარს. მუხლუხებით გადათხრილი და გადამწვარი ერთ დროს ულამაზესი ზღვისპირა ბულვარი, გაუკაცრიელებული სანაპირო და ნავსადგური, ტალღებზე მოტივტივე მკვდარი თოლია, თვალებდათხრილი მაღაზიები და კაფეები, ნასახლარები ეშბას ქუჩაზე და წიბოგანგრეული მაღლივი კორპუსები ახალ რაიონში, პირწმინდად გაძარცული სანატორიუმები და პანსიონატები, შავოსანი ქალების სიუხვე პურის რიგებში, ავტომატიანი ბიჭების დაბოღმილი სახეები...

ვისაც ვკითხე, თითქმის ერთგვაროვნად მიპასუხა (იქნებ სხვაგვარად მოაზროვნენიც არიან, მაგრამ პირადად მე არ შემხვედრია): ომი გარდაუვალი იყო — არ დაიწყებოდა აგვისტოში, წამოგვაგებდნენ დეკემბერში, წლეულს თუ გაისად; ქართული საჯარისო ნაწილების შემოსვლა მხოლოდ საბაბად, კოზირად იქცა, რომლის გამოყენებაც სეპარატისტებმა არ დააყოვნეს. შეცდომა შემოსვლა კი არ იყო, არამედ ის, რომ ვერ გავთვალეთ, თუნდაც ალბათობის თეორიის შესაბამისად, აფხაზეთში ქართული ნაწილების გადაადგილების ყველა შესაძლო პერიპეტია, რათა ასე მოულოდნელად და მოუმზადებლად არ აღმოვჩენილიყავით ომში ჩათრეული.

ეს მოულოდნელობა და მოუმზადებლობა, სამწუხაროდ, მართლაც, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. პირველ ყოვლისა, იმის, რომ, ფაქტობრივად, ჯერაც არ არსებობს რეგულარული სამხედრო შენაერთები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: გვყავს მხოლოდ სახალხო ლაშქარი, რომლის წიაღშიც იკვირტება არმიის ჩანასახი.

გუდაუთის დაჯგუფების ხელმძღვანელობა ქართულ მხარესთან დიალოგის დაწყების უმთავრეს პირობად აფხაზეთიდან „საოკუპაციო" ნაწილების უკანასკნელ ჯარისკაცამდე გაყვანას აყენებს. შეუსრულებელი პირობაა: „შემოსული" ნაწილები დღეს ძალზე ცოტაა აფხაზეთში, იმდენად ცოტა, რომ ისინი, არსებითად, ამინდს ვერ ქმნიან საომარ სცენაზე. იქ სანგრებში ძირითადად ადგილობრივი მამაკაცები სხედან, მშობლიური კუთხის დაცვა მათ აიღეს [illegible], ისინი ავსებენ აფხა[illegible] [illegible]ბრძოლ ბატალიონ[illegible] [illegible]ავიდეს აფხაზეთიდან: სოხუმელი, გულრიფშელი, ოჩამჩირელი, გალელი მოქალაქეები და გლეხები — აფხაზეთის მკვიდრი ათიათასობით ქართველი და სხვადასხვა ეროვნების ასობით მათი მეზობელი?

ფრონტის იქითა მხარეს, როგორც ჩანს, ვერ გაუსიგრძეგანებიათ, თუ რა ხდება დღეს აფხაზეთში, რა თვისებრივი ძვრები მიმდინარეობს. ამის შესახებ მექანიზებული ბრიგადის მეთაურის მოადგილემ პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში, ოჩამჩირელმა ინჟინერმა, იქ სამხედრო ფორმირებების შემქმნის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, კაპიტანმა იური ქვაჩახიამ მიამბო:

— დღევანდელი აქაური ქართველი ის აღარ არის, რაც შარშანწინ ან თუნდაც შარშან იყო, დღეს აქ უკვე სულ სხვა ეროვნული სულისკვეთებაა. ქართული ენა და ქართველობა თავის უფლებებში მკვიდრდება. „ერთაშორისი ურთიერთობის სავალდებულო" რუსული ენიდან მასობრივად გადავდივართ ქართულად საქმისწარმოებაზე, მიღწეულს ცოცხალი თავით აღარ დავთმობთ. კანონი და კონსტიტუცია ყველასთვის სავალდებულო გახდება, ნებისმიერ თანამდებობაზე კაცის შერჩევის კრიტერიუმი — კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი. და თუ ამაში კვლავ ჩაგვერევა თბილისი თავისი „არწყენინების" უხერხემლო პოლიტიკით, ამაოდ ნუ მოიტყუებს თავს, რომ ძველებურად თავწაღუნული გავუჩუმდებით. ერთობ გვაწუხებს, რომ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული საერთო პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ — ომის დასრულება ბრძოლით თუ პოლიტიკით? ოჩამჩი[illegible] [illegible]ფიქრობთ: მართა[illegible] [illegible]ღეთ, ბევრი წყენა დაგვიგროვდა, მაგრამ მაინც მოლაპარაკებით, შეთანხმებით სჯობს დასრულება, განა იმიტომ, რომ ახალი მსხვერპლი გვაშინებს (უმსხვერპლოდ ომი ვის მოუგია), მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ საბოლოოდ მაინც აფხაზთა გვერდით უნდა ვიცხოვროთ. ოღონდ: ჩვენ მივუტევებთ იმათაც კი, ვინც იარაღით გვებრძვის, როგორც ჯარისკაცი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმათ, ვინც წამებით სულს ხდის ტყვედ ჩავარდნილებს, აწიოკებს ქალებსა და ბავშვებს, შეურაცხყოფს ცხედარს. კარგად ვიცით, ვინ როგორ იქცევა: მოწინააღმდეგეა, მაგრამ კაცად დარჩა თუ მხეცად იქცა. დამიჯერეთ, აფხაზი ხალხი სულაც არ მიგვაჩნია მტრად, მათ შორისაც უმრავლესობა როდია ჩვენთან დანასისხლად. თუნდაც ასეთი ფაქტები ავიღოთ: ომის მსვლელობის პერიოდში მარტო ამ რაიონში 7 ქართველი ჭაბუკი დაქორწინდა აფხაზ ქალიშვილზე, რამდენიმე აფხაზი ბიჭი იბრძვის ოჩამჩირის ბატალიონში, ქალაქში დარჩენილია აფხაზთა ოჯახები, რომლებიც არც ფიქრობენ გახიზვნას...

ტყვიას ესვრიან ერთმანეთს მეზობლები და გუშინდელი მოყვრები. რუსული თქმაა, ომი ყველაფერს ჩამოწერსო. არ არის ეს მართალი. ომი მძიმე გამოცდაა და ამ გამოცდის ღირსეულად ჩაბარება მხოლოდ კაცურ კაცს ძალუძს, ამ „ანდაზით" კი არამზადა იმშვიდებს სინდისს.

### ფესვები

ჯარისკაცური ფოლკლორი მოგეხსენებათ. აი, ერთი ნიმუში:

„სანგარში აფხაზი ზის, შიშით თვალები დახუჭია და უმიზნოდ ისვრის.

— წინ იყურე! — უყვირის რუსი ოფიცერი.

— ქართველები ისე მძულს, მათი დანახვაც არ შემიძლია! — თავს „იმართლებს" აფხაზი".

მართალია, ამ საველე იუმორის დედაარსი მოწინააღმდეგის დამცირებაა, მაგრამ მასში მთავარი მაინც, ასე გროტესკულად ხაზგასმული, ქართველების მიმართ თითქმის ბიოლოგიური სიძულვილი მგონია.

სწორედ ეს გახლავთ რეალობა და არა აფხაზთა სიმხდალე. ნუ დავიბრმავებთ თვალს, დღეს რაც უნდა ბევრი ვიყვიროთ ჩვენს ისტორიულ ძმობასა და მეგობრობაზე, ალბათ, ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ეს სიძულვილი ჩამოირეცხება. აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის ლიდერებმა ყველაფერი იღონეს და მიაღწიეს კიდეც იმას, რომ აფხაზს ქართველში მხოლოდ მტერი დაენახა, რომელიც მას სამშობლოს ართმევს და, საერთოდ, ყოველგვარ ისტორიულ პერსპექტივას უკარგავს. უკანასკნელ პერიოდში, პრესითა და რადიოტელევიზიით, გამიზნულად და თანამიმდევრულად მიმდინარეობდა მასირებული ანტიქართული პროპაგანდა, რომელშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის გაყალბებას.

სეპარატისტულად განწყობილ მეცნიერ-პოლიტიკოსებს ერთგულად ედგა მხარში აფხაზეთში მცხოვრები ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი. მათს ხმას როგორც „დაუინტერესებელ", „მიუმხრობელ" მხარისას, განსაკუთრებული ფასი ჰქონდა გაუთვითცნობიერებელი მასისთვის (მესამე ძალის მხარდაჭერა მხოლოდ თოფ-იარაღისა და ჯარისკაცების წაშველება როდია!), ამ მხრივ ერთობ გამორჩეულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის იური ვორონოვის მოღვაწეობა, შარშან სოხუმში გამოცემულმა მისმა ბროშურამ „აფხაზები — ვინ არიან ისინი?" ბოლო წერტილი დაუსვა აფხაზური ნაციონალ-სეპარატიზმის ისედაც პირამდე სავსე ფიალას.

ამ ნაშრომის „მეცნიერული" დასკვნები მოკლედ ასე დამიხასიათა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ პაპასქირმა (ეს სერიოზული მეცნიერი და დახვეწილი ინტელიგენტი მე-2 საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილებაში გავიცანი, სადაც დღეს უფროს ოფიცრად მსახურობს):

— ვორონოვი თავდაყირა აყენებს მთელი მსოფლიოს ისტორიასაც კი, რათა არ აჩვენოს, არათუ ქართველ-აფხაზთა ერთიან ისტორიულ და კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში ყოფნა, არამედ მათი შორიახლო თანაარსებობაც კი. მისი მტკიცებით, აფხაზობა წარმოადგენს რაღაც განსაკუთრებულ ეთნოსს, „ვრცელი ენობრივი ერთობის ერთგვარ რელიქტს", რომელსაც ჯერ კიდევ 7 ათასი წლის წინათ ეკავა მთელი კავკასია და მისი სამხრეთი ტერიტორიები (საინტერესოა, რომ ამ „ვრცელ ენობრივ" სამყაროში ადგილს ვერ უძებნის ქართველურ ენებს). აფხაზურ-ადიღეური ენები გენეტიკურ კავშირში ყოფილა უამრავ ენასთან, დღევანდელ ნახურ (ჩეჩნურ-ინგუშური)-დაღესტნური ენებიდან (რომლებთანაც თითქოს ერთიან „ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახს" ქმნიან), დაწყებული, მცირე აზიის აწ უკვე მკვდარი ხათური და ხურიტულ-ურარტული ენებით დამთავრებული. ვორონოვი „აფხაზ-ადიღეების უფრო შორეულ ისტორიაშიც იხედება" და „ადასტურებს" ჩრდილო-კავკასიური ენების ნათესაობას სინურ-ტიბეტურ ენობრივ სამყაროსთან, რომლის საფუძველზეც, თითქოსდა შეიძლება ლაპარაკი სინურ-კავკასიურ მაკროოჯახზე, მასში შემავალი „ძველი სამყაროს არქანისტრატული ენებითა და მასთან დაკავშირებული სუბამერიკული კონტინენტის ინდიელთა (კალიფორნიული და სხვ.) ენებითურთ". დადასტურებულად მიიჩნევს „კონტაქტების არსებობას (ზემო ჩადური ენების მეშვეობით) ნახურ-დაღესტნურ და აფრ-აზიის მაკროოჯახს შორის, რომელსაც რასების ჩამოყალიბების ეპოქამდე მივყავართ". მთელი ამ „ძიების" დროს, რა თქმა უნდა, კრინტსაც არ ძრავს ქართველურ ენებთან აფხაზური ენის ნათესაობაზე. ვორონოვის აზრით, აფხაზთა წინარე სამშობლოს წარმოადგენს კოლხეთის ტერიტორია და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები, ქართველთა წინარე სამშობლო კი დასავლეთ ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ უნდა ვეძიოთ. „მეცნიერულად" ასაბუთებს აფხაზთა ეთნოპოლიტიკური და კულტურული სამყაროს არსებობას ლამის სამყაროს შექმნიდან. ქართველებს ერთი ხელის მოსმით გვართმევს ე. წ. „კოლხურ კულტურას" და მას აფხაზთა წინაპრებს აკუთვნებს. თავისი ისტორიის მანძილზე აფხაზებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ ევროპის, აზიისა და აფრიკის ყველა მოწინავე ცენტრთან. შორეულ ისტორიულ ექსკურსში ყველას მოუძებნა ადგილი, ურარტელებიდან და ბერძნებიდან გენუელებამდე, თურქებსა და რუსებამდე (ყველა ამ ხალხს, პრაქტიკულად, მხოლოდ პოზიტიური წვლილი შეუტანია აფხაზთა ისტორიული განვითარების პროცესში). ამ სიაში მხოლოდ ქართველები და საქართველო არ ჩანან, თითქოს ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში არც არსებულან. „აფხაზები დედამიწის ყველა ხალხის სისხლით მონათესავენი არიანო" (?) და „ადასტურებს" კიდეც აფხაზთა ტომების გენეტიკურ კავშირებს აფრიკის ნეგროიდებთან და სინურ-ტიბეტურ ენებზე მოლაპარაკე მონღოლოიდებთან, ძველ ბერძნებთან, რომაელებთან... აფხაზთა გენეტიკური ტიპის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი შეუტანიათ ალან-ოსებსაც. ამ საქმეში მათ არც სპარსელები ჩამორჩნიან. ვორონოვის „მახვილგონივრული" გუმანით თურმე ამაზე მეტყველებს პროკოფი კესარიელის მიერ დაფიქსირებული ის ფაქტი, რომ VI საუკუნის შუახანებში წებელდაში ჩაყენებული სპარსელთა გარნიზონის უფროსმა... ნამუსი ახადა ციხის უფროსის ლამაზ ცოლს — ტომით აფსილს, რასაც აფსილების განაწყენება და სპარსელთა იქიდან გამოყრა მოჰყვა.

უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე აფხაზეთში უცხოვრიათ და ადგილობრივ აფხაზურ მოსახლეობასთან ნათესაური კონტაქტები ჰქონიათ ებრაელებს, გერმანელებს, სომხებს, არაბებს, თურქული მოდგმის ტომებს, სლავებს, მონღოლებს, იტალიელებს, ჩინელებსაც კი, ამასთან, სლავები აქ პირველად VI საუკუნეში გამოჩენილან. რაც შეეხება ქართველებს, ვორონოვის აზრით, „მეგრელთა ინფილტრაცია" აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში უნდა გაძლიერებულიყო X საუკუნიდან, მოგვიანებით კი, როცა სამეგრელომ „ზემო აფხაზეთის ანექსია მოახდინა", ასიმილაციის პროცესები გაძლიერებულა. რაც შეეხება „ქართველ-გრუზინებსა" და სვანებს, მათთან აფხაზებს (არა უადრეს VIII საუკუნისა), ეპიზოდური, მაგრამ „ნაყოფიერი კონტაქტები" ჰქონდათ. ვორონოვი აფხაზეთს „2500-წლოვანი სახელმწიფოებრიობის ქვეყნად" აცხადებს. სახელმწიფოებრიობა აფხაზეთის ტერიტორიაზე „შეუტანიათ" მილეთელ ბერძნებს, რომლებმაც ძვ. წ. ა. VI საუკუნეში დააარსეს ქალაქი-სახელმწიფო დიოსკურია. რაც შეეხება კოლხეთის სამეფოს, რომელიც „თითქოს არსებობდა ძვ. წ. ა. VI-I საუკუნეებში და რომლის ფარგლებშიც ვითომ შედიოდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, ეს წმინდა წყლის ისტორიული მითი ყოფილა, რომელიც შეუქმნიათ „პოლიტიკოსებსა და მეცნიერებს ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების მიწურულიდან — ლავრენტი ბერიას ეპოქაში".

ბროშურაში გამორჩეული ადგილი ეთმობა „აფხაზთა თავდაწირულ, გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის მეგრელ და იმერელ ხელისუფალთა და მათს დასახმარებლად მოსულ ქართლელთა წინააღმდეგ". XVII საუკუნიდან მომხდარა არა აფხაზეთის მოქცევა ოტომანთა იმპერიის უღელქვეშ, არამედ თურქეთის სახელმწიფოსთან „პოლიტიკური კავშირების ზრდა". ქართულ-აფხაზური „ტრადიციული მტრობისა და „წინააღმდეგობის" ფონზე, ვორონოვს, რასაკვირველია, არ გამორჩენია რუსეთის იმპერიის „პროგრესული როლი" აფხაზთა ცხოვრებაში, სადაც, როგორც ჩანს, სულაც არ არის მოსატანი ისეთი „წვრილმანი გაუგებრობები", როგორიც თუნდაც მაჰაჯირობაა. სამაგიეროდ, არ ავიწყდება გენერალ მაზნიაშვილის მიერ 1918 წელს აფხაზეთის „ოკუპაცია", ხოლო შემდეგ, IX წითელი არმიის მიერ აფხაზებისთვის „მოპოვებული დამოუკიდებლობის ანულირება" სტალინისა და ბერიას მიერ. არ ავიწყდება არც „აფხაზთა მასობრივი პროტესტები ქართული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ რსფსრ შემადგენლობაში აფხაზეთის გადაყვანის მოთხოვნით". ამ ბრძოლის დამაგვირგვინებლად კი მიიჩნევს 1991 წლის მარტში სსრ კავშირის არსებობის თაობაზე მოწყობილი რეფერენდუმის შედეგებს, როცა „აფხაზეთმა სურვილი გამოთქვა იყოს კავშირში, საქართველომ კი ხმა მისცა მის დაშლას"...

საზოგადოებრიობის ინტერესი საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულისადმი დღეს ერთობ გამძაფრებულია, და როცა ნიადაგი შემზადებულია, ასეთი ანეგდოტური შოვინისტური მონაჩმახიც კი სიმართლედ აღიქმება. ერთობ დიდია იმ მავნებლური საქმიანობის ტრაგიკული შედეგები, რასაც, ჩვენდა სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, ასე ნაყოფიერად ეწეოდნენ სეპარატისტთა რუპორი ისტორიკოსები.

ერთი სიტყვით, ომი „იდეოლოგიურად" კარგად არის შემზადებული და რა გასაკვირია, თუ აფხაზურ აჯიკასავით ცხარე პატრიოტული ლოზუნგებით ტვინდათუთქული აფხაზი ჭაბუკები თავიანთი ავტომატების სამიზნეებზე დასმულ ქართველ თანატოლებში მხოლოდ საძულველ მტრებს ხედავენ, რომელთა მოუსპობლადაც მათს ჯიშსა და ჯილაგს გადაშენება უწერია.

ომი, რაგინდ სამართლიანიც უნდა იყოს ამა თუ იმ მხარისთვის, თავისთავად ბოროტებაა, რადგან ნგრევა, სისხლი და ცრემლი მოსდევს. სოხუმში, 23-ე მექანიზებული ბრიგადის შტაბში ნახავთ სტენდს ამ შენაერთის 122 დაღუპული მებრძოლის ფოტოსურათებით და მუხლები მოგეკვეთება. ალბათ, სადღაც, გუდაუთაშიც არის ასეთივე სტენდი და ასევე მწუხარედ ჩერდებიან ადამიანები მის წინ..

**ალეკო ასლანიშვილი,**
„სრ" სპეციალური კორესპონდენტი.

(გაგრძელება იქნება)

---

**დემურ დვალიშვილი:**

## „მოვეფეროთ კუპონს"

**თვეზე** მეტი გავიდა საქართველოში კუპონების მიმოქცევაში შემოღების დღიდან. მათი შემოღებით რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად მონახა გამოსავალი, რათა უმოკლეს დროში აეცილებინა თავიდან ქვეყნისათვის მოსალოდნელი ფინანსური და ეკონომიკური კატასტროფა. იგი კი ყოველდღე იყო მოსალოდნელი შარშანდელი დეკემბრიდან, როცა რუსეთმა უარი გამოგვიცხადა ფულის ნიშნების მიცემაზე. დღეს კუპონი, ფაქტობრივად, ჩვენი პირველი ეროვნული ვალუტაა. თუმცა მას ბევრმა მძიმე, უიმედო მომავალი უწინასწარმეტყველა.

მაგრამ რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის, აზრით საგანგაშო არაფერია, ეს მან განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგ საინფორმაციო ლექტორიუმზე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ისაუბრა ეროვნული ფულადი ნიშნების (კუპონების) შემოღების პირობებში რესპუბლიკაში ფულადი მიმოქცევის გაჯანსაღებისა და საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის საკითხებზე.

თუმცა ამ ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როცა ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციაში უარს ამბობენ კუპონების მიღებაზე, მათ მიმოქცევას თან ახლავს სხვადასხვა სირთულეებიც, მაგრამ ვითარება მაინც საიმედოა, — თქვა დემურ დვალიშვილმა. — უნდა ვიცოდეთ, რომ უახლოეს ხანში კუპონების გარდა ფულადი მიმოქცევის სხვა საშუალება რესპუბლიკაში აღარ გვექნება. „საბჭოთა მანეთი" თანდათან ტოვებს ასპარეზს. რადგანაც რუსეთში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სულ მალე გაუქმდეს 1961-1992 წლებში გამოშვებული ფულის ნიშნები. ამიტომ, რა ნაკლიც უნდა გააჩნდეს კუპონებს, ფრთხილად უნდა მოვექცეთ, მოვეფეროთ მათ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა უპასუხა ლექტორიუმის მსმენელთა შეკითხვებს. აღინიშნა ისიც, რომ განხორციელდება ძალიან მკაცრი ღონისძიებები, რათა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებმა კუპონებზე ივაჭრონ. მასზე უნდა გაიყიდოს ის საქონელიც, რომელიც ბანკის კრედიტებით არის შემოტანილი.

---

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღების შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის პრივატიზაციისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის, საპრივატიზაციო ობიექტებზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის უზრუნველყოფის, მოსახლეობაში არსებული საინვესტიციო პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილის შენარჩუნების, სახელმწიფო საწარმოების აქციონირების, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემის დასაჩქარებლად და ამ პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმის მიზნით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს 1993 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემა. ამ თარიღისათვის გამოშვებულ იქნეს და დაიწყოს 1993 წლის გამოშვების საპრივატიზაციო ბარათების საქართველოს მოქალაქეებისათვის გაცემა.
2. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს 1993 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით უფლება აქვს მიიღოს ერთი საპრივატიზაციო ბარათი, რომელიც საშუალებას მისცემს თითოეულ მოქალაქეს საკუთრებაში უფასოდ მიიღოს განსაზღვრული საერთო სახელმწიფო (საპრივატიზაციო) ქონებიდან თანაბარი წილი.
3. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები საპრივატიზაციო ბარათების მიღებისას იხდიან საკომისიო მოსაკრებელს.
4. 1993 წლის გამოშვების საპრივატიზაციო ბარათების დარიგებისას დადგინდეს საკომისიო მოსაკრებელი 100 მანეთის ოდენობით.
5. საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადასაცემად არ დაიშვება ფასიანი ქაღალდების გამოშვება ან სხვა სისტემების შექმნა.
6. დამტკიცდეს დებულება საპრივატიზაციო ბარათების შესახებ (თან ერთვის).
7. 1993 წლის გამოშვების საპრივატიზაციო ბარათის ნომინალური ღირებულება განისაზღვროს 60 000 (სამოცი ათასი) მანეთის (კუპონის) ოდენობით.

დაწესდეს, რომ 1993 წლის გამოშვების საპრივატიზაციო ბარათები მოქმედებენ 1993 წლის 1 სექტემბრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე.

8. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ:

— დაამტკიცოს 1993 წლის 15 მაისამდე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით მოქალაქეებისათვის საპრივატიზაციო ბარათების გაცემისას საკომისიო მოსაკრებლების გადახდევინების წესი;

— უზრუნველყოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან საპრივატიზაციო ბარათების დასამზადებლად, ტრანსპორტირებისათვის, შესანახად და გასაცემად საჭირო ღონისძიებათა დაფინანსება.

9. საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღების ოპერატიული მართვისა და კონტროლის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღების საკოორდინაციო საბჭო.
10. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ:

— დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით არა უგვიანეს 1993 წლის 5 ივნისისა მოამზადოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად დებულება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემომღები საკოორდინაციო საბჭოს შესახებ, ამ საბჭოს შემადგენლობა და დებულება საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების შემოღების ტერიტორიული კომისიების შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკთან, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად 1993 წლის 5 ივნისამდე უზრუნველყოს საპრივატიზაციო ბარათების გამოშვების, გაცემისა და დაფარვისათვის აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტებისა და სხვა აქტების შემუშავება და მიღება;

— საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებული სამინისტროებისა და დაწესებულებების, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს ნორმატიული და სხვა აქტები, რომლებიც მოახდენენ საპრივატიზაციო ბარათების სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას;

11. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მერიებმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა:

— საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღებისას იხელმძღვანელონ მოქმედი კანონმდებლობით, ამ დადგენილებით და საქართველოს რესპუბლიკის ქონების მართვის სამინისტროს ნორმატიული და სხვა აქტებით.

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკს და მის განყოფილებებს საპრივატიზაციო ბარათების გასავრცელებლად მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის არა უგვიანეს 1993 წლის 10 ივნისამდე გადასცენ შესაბამისი სათავსები;

— საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობასთან ერთად გადაწყვიტონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკისთვის აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად გაწეული დანახარჯების ანაზღაურების საკითხი;

— სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად:

— შექმნან საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემომღები ტერიტორიული კომისიები და მოახდინონ მათი მუშაობის ორგანიზება არაუგვიანეს 1993 წლის 20 ივნისისამდე;

12. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკთან და ეროვნულ ბანკთან ერთად უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების დაცვა და შენარჩუნება მათი ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის დროს.
13. საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის ასამოქმედებლად შექმნილმა ტერიტორიულმა კომისიებმა არა-უგვიანეს 1993 წლის 20 ივლისისა შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეადგინონ საპრივატიზაციო ბარათების მიღებაზე უფლების მქონე მოქალაქეთა სიები და ერთი ეგზემპლარი გაუგზავნონ საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის ადგილობრივ განყოფილებებს, მეორე საკონტროლო ეგზემპლარი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრთან შექმნილ საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღების საკოორდინაციო საბჭოს.
14. ორგანიზაციებსა და საწარმოებს (მათ შორის სავაჭრო დაწესებულებებს) ეკრძალებათ მიიღონ საპრივატიზაციო ბარათები, როგორც გადახდის საშუალება საქონლის, მომსახურეობისა და სამუშაოს საფასურად.
15. ეთხოვოს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით 1993 წლის ივნისიდან განახორციელონ საინფორმაციო ღონისძიებანი საქართველოში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღების წესისა და მისი რეალიზაციის მექანიზმის განმარტებისათვის.
16. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი**
**თ. სიგუა.**

---

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის № 287 დადგენილებით

# დებულება საპრივატიზაციო ბარათების შესახებ

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი:**

1. საპრივატიზაციო ბარათების მეშვეობით ხდება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების, მათი ქვედანაყოფების, ქონების, სააქციო საზოგადოებებში და ამხანაგობებში აქციებისა და წილის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისადმი უსასყიდლოდ გადაცემის მექანიზმის რეალიზაცია.
2. საპრივატიზაციო ბარათები ეძლევათ საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეებს, რომელთაც აღნიშნული დებულების მეორე მუხლის მიხედვით აქვთ საპრივატიზაციო ბარათების მიღების უფლება.

საპრივატიზაციო ბარათები შეიძლება შესყიდული იქნეს და გაიყიდოს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

პირებს, რომლებიც „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად მყიდველებად ითვლებიან, უფლება აქვთ საპრივატიზაციო ბარათები გამოიყენონ გადახდის საშუალებად პრივატიზების ობიექტების კერძო საკუთრებაში შეძენისას.

პრივატიზების ობიექტების შეძენისას გადახდის საშუალებად გამოყენებული საპრივატიზაციო ბარათები იფარება და ამოიღება მიმოქცევიდან.

3. საპრივატიზაციო ბარათი არის მიზნობრივი დანიშნულების ფასიანი ქაღალდი, რომელსაც აქვს დროის ფიქსირებულ მონაკვეთში და მოთხოვნა-მიწოდების ცვალებად პირობებში ბარათებით პრივატიზებადი სახელმწიფო ქონებიდან მოქალაქის კუთვნილი თანაბარი წილის განსაზღვრის ფუნქცია.

საპრივატიზაციო ბარათი არის დოკუმენტი წარმომდგენზე.

4. საპრივატიზაციო ბარათებით შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იქნეს გადახდილი საპრივატიზებო ობიექტის ღირებულება.

პრივატიზაციის პროცესში საწარმოს მთლიანად გაყიდვისას, აგრეთვე ლიკვიდირებადი და ლიკვიდირებული საწარმოების ქონების (აქტივების) კურსით ან აუქციონით გაყიდვისას მყიდველი ვალდებულია საპრივატიზაციო ბარათებით გადაიხადოს ბარათებზე პრივატიზებისათვის განსაზღვრული ქონების საფასური.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან სხვა პირი, რომელიც არის ბარათებზე პრივატიზებადი ობიექტების გამყიდველი, არ არის უფლებამოსილი საპრივატიზაციო ბარათების სანაცვლოდ მიიღოს სხვა ფასიანი ქაღალდი, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება.

5. თითოეულ საპრივატიზაციო ბარათს აქვს მის გამოშვებისას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დაწესებული მოქმედების განსაზღვრული ვადა. საპრივატიზაციო ბარათი ვადის გასვლის შემდეგ ითვლება ძალადაკარგულად და ამოიღება მიმოქცევიდან.
6. საპრივატიზაციო ბარათების გაცემის, მიმოქცევის, გამოყენებისა და დაფარვის (ბათილად ცნობის) წესი დგინდება ამ დებულებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით.

**მუხლი 2. საპრივატიზაციო ბარათის მიღების უფლება.**

1. საპრივატიზაციო ბარათის მიღების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს 1993 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.
2. საპრივატიზაციო ბარათების ქმედითუუნარო ან შეზღუდული ქმედითუნარიანობის მქონე მფლობელების ინტერესებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად იცავს მათი კანონიერი წარმომადგენლები, მეურვეები და მზრუნველები.
3. სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირების საპრივატიზაციო ბარათებზე უფლებების რეალიზაციის წესი დგინდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 3. საპრივატიზაციო ბარათების გაცემის წესი.**

1. საპრივატიზაციო ბარათები გაიცემა ამ დებულების მეორე მუხლის 1 და 2 პუნქტებში განსაზღვრულ პირებზე, ან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ კანონიერ წარმომადგენლებზე, მზრუნველებსა და მეურვეებზე.
2. იმ პირთა სიებს, რომელთაც ამ დებულების თანახმად აქვთ საპრივატიზაციო ბარათების მიღების უფლება, ადგენს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მოქალაქეთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
3. საპრივატიზაციო ბარათების მიმღებ, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მყოფ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სიების შედგენის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ შედგენილი სიების შესაბამისად საპრივატიზაციო ბარათების გაცემას ახდენენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის ადგილობრივი დაწესებულებანი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისას, ხოლო წარმომადგენელზე, მზრუნველებსა და მეურვეებზე საპრივატიზაციო ბარათების გაცემისას აგრეთვე აუცილებელია მათი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.
4. საპრივატიზაციო ბარათების გაცემის წესი რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებით.

**მუხლი 4. საპრივატიზაციო ბარათების გამოყენება.**

1. საპრივატიზაციო ბარათები მათი მიღების ადგილის მიუხედავად შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.
2. საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად საპრივატიზაციო ბარათებით შეიძლება შეძენილი იქნეს პრივატიზების ობიექტები, აგრეთვე საპრივატიზაციო ბარათების თავმომყრელი პრივატიზაციის სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდების აქციები (საი).
3. საპრივატიზაციო ბარათი პრივატიზაციის პროცესში გადახდის საშუალებად გამოიყენება ერთხელ. საპრივატიზაციო ბარათების დაფარვის (ბათილად ცნობის) პროცედურა დგინდება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

# ბჭობენ პრივატიზაციის საკითხებზე

[illegible] მაისს, საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, რომან გოცირიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეკონომიკური რეფორმის შტაბის რიგგარეშე სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოში პრივატიზაციის პროცესის დაჩქარების საკითხი.

ინფორმაცია პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ გააკეთა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ.

შტაბმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვაჭრობის სფეროში პრივატიზაციის პროცესის მაქსიმალურად დაჩქარების საკითხს და მიზანშეწონილად ჩათვალა სავაჭრო ობიექტების უსწრაფესი „ელვისებური“ გაყიდვა.

შტაბმა განიხილა სხვა საკითხებიც.

**მინისტრთა კაბინეტის პრეს-სამსახური**

# სწავლობენ პროკურატურის მუშაკები

**მუშაობას** შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სასწავლო ცენტრი, რომლის მთავარი ამოცანაა საპროკურორო და საგამოძიებო მუშაკების პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება. წინასწარ შემუშავებული დებულების საფუძველზე შეიქმნა მეთოდური საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქვეყნის გენერალური პროკურორი თედო ნინიძე. საბჭოს შემადგენლობაში შედიან პროკურატურისა და სხვა სამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელი მუშაკები და პრაქტიკოსი მოღვაწენი, მოწვეული სწავლული იურისტები. განისაზღვრა სასწავლო ცენტრში კვალიფიკაციის ამაღლების საქმიანობის ორგანიზაცია, მსმენელთა ჩარიცხვის წესი, დაკომპლექტდა პედაგოგიური პერსონალი. სასწავლო ცენტრს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პროკურატურის კადრების სამმართველოს საპროკურორო და საგამოძიებო მუშაკების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ირაკლი ლეკვეიშვილი.

სასწავლო ცენტრის პირველი მსმენელები არიან რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურატურების სტაჟიორ-გამომძიებელთა ერთი ჯგუფის წევრები. სასწავლო ცენტრის გახსნისას მათ წინაშე გამოვიდა, ეს მოვლენა მიულოცა და ცენტრის მიზნებსა და ამოცანებზე ესაუბრა რესპუბლიკის გენერალური პროკურორი თედო ნინიძე, ლექციებს კითხულობენ პროკურატურის, უზენაესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურისა და სხვა ორგანოთა პრაქტიკოსი მუშაკები, მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლულნი. გათვალისწინებულია სამართალმცოდნეობის გამოჩენილი სპეციალისტების მოწვევა უცხოეთიდანაც.

— წინათ იურიდიული კადრების თეორიული და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება ხდებოდა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველი იურისტები, კერძოდ, პროკურატურის ორგანოთა მუშაკები პრაქტიკულად სწავლებისა და ყურადღების გარეშე დარჩნენ. რესპუბლიკის პროკურატურამ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, სწორედ ამ არასახარბიელო ვითარების დაუდო ზღვარი. შემდგომში სასწავლო ცენტრის ბაზაზე გათვალისწინებულია შეიქმნას ინსტიტუტი, — განაცხადა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ჯამლეტ ბაბილაშვილმა.

**საქ. კორ.**



# „ლექსიკონი ქართული“

**გამომცემლობა** „მერანმა“ დასტამბა ქართული ლექსიკოგრაფიის შედევრი — **სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“**, რომელიც ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო შესანიშნავმა ქართველმა მეცნიერმა ილია აბულაძემ. გამოცემა ფოტოტიპურად იმეორებს 1965-1966 წლებში ს.-ს. ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულში ილ. აბულაძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს. ახალი გამოცემა შეიცავს მეცნიერის გამოკვლევითა და მის მიერვე შედგენილი სიტყვების საძიებლით. გამოკვლევაში საბას ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული.

ორტომეულის პირველ წიგნში ქვეყნდება მასალა ან-იდან სანის ჩათვლით. გამოცემის მეორე ტომი სულ ახლახან დასტამბა გამომცემლობამ. ეს გამოცემა უდავოდ დიდი საჩუქარი იქნება არა მარტო ლექსიკოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევართათვის, არამედ ყველა ქართული ოჯახისათვის.

ორტომეულის შეძენა შეგიძლიათ გამომცემლობა „მერანის“ საფირმო მაღაზია-სალონში.

---

**მარინე რიხლინა.**

# თვალსაზრისი

**რ**ოგორც ცნობილია, 1993 წლის 18 იანვარს სითბური რაკეტით დაზიანების შედეგად აფხაზეთის რესპუბლიკის სოფელ საკენში საქართველოს ჯარების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე იძულებით დაჯდა რუსეთის ვერტმფრენი, რომელსაც ჰუმანური დახმარება მიჰქონდა. ვერტმფრენში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეკიპაჟის გარდა, იყვნენ ჟურნალისტები, ზოგიერთი აფხაზი მოქალაქე, მათ შორის, აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლაბახუა, რომელიც ორი თვის ტყვეობის შემდეგ (სოფ. საკენი — ქ. სოხუმი — ქ. თბილისი) მოსკოვს ჩამოვიდა.

— მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და გულწრფელი მადლობა მოვახსენო ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მეგობრებსა და ახლობლებს, ჩემს ძვირფას თანამემამულეებს, განსაკუთრებით, ბლოკირებულ ტყვარჩელელებსა და ოჩამჩირელებს, ყველას, ვინც მითანაგრძნობდა და ყველაფერი იღონა ჩემი განთავისუფლებისათვის.

**— რა ბრალდებები იყო თქვენდამი წაყენებული?**

— როგორც სოხუმში, ისე თბილისში, მე წამომიყენეს უაღრესად სერიოზული ბრალდებები, როგორც სამხედრო ტყვეს — სახელმწიფო მოღვაწეს და ზოგიერთ სხვა ფაქტორთან დაკავშირებითაც. პირველ ხანებში, ძალიან გამიჭირდა — დამამცირებელი ჩხრეკის პროცედურები, შეურაცხყოფა, მათ შორის, ფიზიკური... აღვნიშნავ, რომ არც ეკიპაჟსა და არც მგზავრებს არ დაუკარგავთ სიმტკიცე და თავშეკავება, ყველანი ღირსეულად და ვაჟკაცურად იქცეოდნენ.

გამოძიების დროს გამოითქვა ბევრი ორმხრივი პრეტენზია და საყვედური. იყო ლაპარაკი აფხაზეთის ხელმძღვანელობის მხრივ ომის ვითომდა პროვოცირების, საქართველოსა და აფხაზეთს შორის, კანონთა ომის შესახებ, ითქვა, რომ აფხაზეთის პარლამენტი და საზოგადოება ორად გაიყვნენ პოლიტიკური პოზიციებისა და ეროვნული ნიშნის მიხედვით. მერე მტკიცედ ვამბობდი, რომ დაუშვებელი იყო საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემოყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე და სოხუმის პროვოკაციული დაპყრობა, რაც მოხანათურად და ვერაგულად მოხდა (წინა დღით ხომ უმაღლეს დონეზე მიღწეულ იქნა მორიგება, შემოვიდოდა კომენდანტის საათი და ერთობლივი პატრულირება სამხედრო კონტინგენტის შეთანხმებულ დონეზე). გამოძიების დროს შეეხნენ მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის ტორპედირების მიზეზებს.

**— ცნობილია, რომ თქვენ შიმშილობა გამოაცხადეთ. რით იყო ეს გამოწვეული?**

— როდესაც გადაწყვიტეს, საქმე სასამართლოში გადაეცათ, მე საპროტესტო შიმშილობა გამოვაცხადე. გავითვალისწინე რა, აფხაზ-ქართველთა კონფლიქტის ირგვლივ წარმოშობილი საერთაშორისო რეზონანსი და მასში უცხოელ ექსპერტთა საკმაოდ ფართო მონაწილეობა, მე წამოვაყენე მოთხოვნა, გამოეყოთ ჩემთვის საზღვარგარეთელი ადვოკატი, შევეხვედრებინე საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებს, სასამართლომდე საქმის უშუალო გარჩევაში, ხოლო შემდეგ თვით სასამართლო პროცესზეც მონაწილეობა მიეღოთ გაეროს, ევროთათბირის, რუსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლებს. ვითხოვდი შეხვედრას უცხოეთის პრესასთან. ბევრს ფიქრობდნენ, ბჭობდნენ.

საბოლოო ანგარიშით, საქართველოს მხარემ ამჯობინა, არ გაერთულებინა სიტუაცია, და გადაწყვიტა, კი არ გადაეცა ვინმეში (როგორც პრესაში გამოცხადდა), არამედ შეეწყვიტა ჩემს წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე და მოენიჭებინა მოქმედების თავისუფლება, რითაც გამოიჩინეს ჰუმანურობა ჩემს მიმართ და გადადგეს ნაბიჯი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე.

**— წერილში, რომელიც მიმდინარე წლის 20 თებერვალს გამოქვეყნდა „ნეზავისიმაია გაზეტაში“, თქვენ დაგვპირდით, რომ გამოთქვამდით საკუთარ თვალსაზრისს ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის თაობაზე და შემოგვთავაზებდით თქვენს წინადადებას ამ ჩიხიდან გამოსავლის მოსაძებნად.**

— თუ ნებას მომცემთ, გავავლებ ერთგვარ ისტორიულ პარალელს პოეზიის მეშვეობით:

**„იწვის სახლები, იწვის ოდები,**
**ისმის წუილი და ისმის გოდება.**
**რაც უწინ იყო, დღეს აღარ არი,**
**ყველგან ლველფია მხოლოდ,**
**ნაცარი“.**

ეს ტრაგიკული სტრიქონები მოვიყვანე დიდი აფხაზი მამულიშვილის დიმიტრი გულიას პოემიდან „ჩემი კერა“.

პოემა ეძღვნება აფხაზი ხალხის უდიდეს ტრაგედიას, გასული საუკუნის მაჰაჯირობას — აფხაზთა განდევნას თავიანთი ოდინდელი და ერთადერთი ძველთაძველი სამშობლოდან...

ამ პოემაში არის კიდევ ასეთი ოპტიმისტური სიტყვები:

**„დღეს აღარავინ ენდობა მოლას,**
**გადაეჩვევიან ნაყმევნი ყმობას.**
**აღარ გაჰყვება გლეხკაცი თავადს,**
**თავისუფლება ურჩევნის აზატს“...**

ვაი რომ, აფხაზი ბრძენკაცი ამჟამად შეცდა. საუკუნეზე მეტი გავიდა და ის საშინელი სტრიქონები, ზემოთ რომ მოვიყვანე, კვლავ შემოიჭრა ჩვენს დღევანდელ რეალობაში, კვლავ აგიზგიზდა დიმიტრი გულიას მიწა-წყალზე ხანძარი, აგიზგიზდა ისე, რომ დაჩრდილა ძველი ხანძრების სისასტიკე და შეიწირა უამრავი უდანაშაულო მსხვერპლი.

ხალხთა საუბედუროდ, გამოტყვრნენ ძალები, რომლებმაც თავს მოახვიეს ორ მოძმე ხალხს ძმათამკვლელი ომი....

გთხოვთ, ყურადღება მიაპყროთ იმას, რომ აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის ძირითადი პრინციპები მე დიდი ხანია ჩამომიყალიბდა და ჩემი პოზიცია, რა თქმა უნდა, არ შობილა კავკასიონის თოვლიან მთებში, ტყვეობაში, ეს კარგად იციან, როგორც აფხაზმა, ისე ქართველმა პოლიტიკოსებმა.

ჩვენი ერთი ციდა ერისათვის ეს ომი კატასტროფაა. მკვეთრად მცირდება გენოფონდი. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ იღუპებიან სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, მსახიობები, მეცნიერები, ინჟინრები, სტუდენტები, იოლი წარმოსადგენი და ძნელი გასაცნობიერებელია, რომ პერსპექტივაში აფხაზეთს დააკლდება თავისი ინტელექტუალური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი და მწარმოებელი ძალების ყველაზე ენერგიული ნაწილი.

ანდა, როგორ გინდა აღიქვა იმ უამრავი ოჯახის ორმაგი ტრაგიზმი, როდესაც ბრძოლის ველზე (მომიტევეთ, ასეთი გამოთქმა), ნახევრად აფხაზი (როდესაც დედა ქართველია) და ნახევრად ქართველი (როდესაც დედა აფხაზია), ანუ ძმები, ერთმანეთს ტყვიას ესვრიან და კლავენ. ჰა და ჰა, სადაც არის, დაიწყება ერთი ცოცხალი ორგანიზმის, შერეული ოჯახების საერთო სვე-ბედის განურჩეველი ჩეხვა... განა ეს დასაშვებია? ეს არაადამიანურია შთამომავლების მიმართ.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# დანაშაულებრივი დაყოვნება

## ზოგიერთი წინადადება ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და კრიზისის დაძლევის გამო

აფხაზეთის მომავლის ჩემეული პოლიტიკური და ეკონომიკური ხედვა მე გავაშუქე ჯერ კიდევ 1992 წლის 5 იანვარს, გაზეთ „აბხაზიის“ ფურცლებზე, სადაც ლაპარაკია საქართველოს ფედერაციული წყობის აუცილებლობაზე და, აქედან გამომდინარე, ჩვენი სახელშეკრულებო ურთიერთობების განსაზღვრაზე, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის საკმარისობის დონე. ავტონომიას, როგორც ანაქრონიზმს, უკვე დიდი ხანია, ყავლი გაუვიდა.

მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს მხარეებს 1992 წლის 13-18 აგვისტოს, სასტიკი პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ომი. ჩვენ ხელიდან გავუშვით მშვიდობა.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ შეიძლებოდა აფხაზეთის სუვერენული უფლებების მიღწევა, მისი სტატუსის ამაღლება მშვიდობიანი გზით, მძიმე, მაგრამ შეუპოვარი დიალოგების მეშვეობით.

სამწუხაროდ, რუსეთმა (მას თავისი საკუთარი შინაური პოლიტიკური წინააღმდეგობანი ღრღნის, თუმცა, არც სამხრეთის ინტერესებისათვის უნდა მოეკლო მზრუნველობა), საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეასუსტეს თავიანთი ყურადღება ჩვენი ტრაგედიისადმი, და მაშასადამე, თავიანთი გავლენაც მის მშვიდობიან შედეგზე.

ბუნებით მე ოპტიმისტი ვარ. ვცდილობ, ბოლომდე შევინარჩუნო რწმენა და იმედი, და დღესაც ეს იმედი მასულდგმულებს. მაგრამ მოვლენათა ახლანდელი განვითარების მიხედვით, თითქოს ისახება (ღმერთმა ნუ ქნას) აფხაზეთის, გახლეჩის პერსპექტივა, მისი ეგრეთ წოდებული, „კვიპროსიზაცია“, ანდა ხანგრძლივი ომი დამღუპველ დასასრულამდე.

ამ ცოტა ხნის წინ, საქართველოს ხელმძღვანელობამ წამოაყენა წინადადება (ან დაეთანხმა აფხაზეთის მხარეს) მოგვეწყო იმ ზონების მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი გაცვლა, რომლებსაც კონტროლს უწევენ შესაბამისი მხარეები. მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება პირველი ნაბიჯი შესაძლო „კვიპროსიზაციის“ გზაზე. ამის დაშვება კატეგორიულად არ შეიძლება. ამისათვის კი საჭიროა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, სპეციალური კომისიის მეთვალყურეობით შევუქმნათ ცხოვრების უსაფრთხოების პირობები აფხაზ მშვიდობიან მოსახლეობას საქართველოს მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ზონაში და, შესაბამისად, პირიქით.

აფხაზმა და ქართველმა ხელმძღვანელებმა უნდა დაძლიონ წყენისა და დანაკარგების სიმწარე და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. სხვათა შორის, რუსეთ-საქართველოს ამასწინანდელი სოჭის მოლაპარაკება, რომელიც აფხაზეთის საკითხსაც შეეხო, ჩაიმართა აფხაზეთის წარმომადგენელთა დაუსწრებლად — ეს დაუშვებელია, ეს არის აფხაზეთის უპატივცემულობა. მით უმეტეს, რომ განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიც არის რუსეთის ჯარების გამოყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან, მდინარე ფსოუზე გამავალი საზღვრის დაცვა. როგორ შეიძლება ასეთი საკითხები წყდებოდეს აფხაზეთის დაუკითხავად?! ეს კი არ გვიახლოვებს, კიდევ უფრო გვაშორებს მშვიდობას.

**— აბა, რით უნდა დაიწყოს შერიგების პროცესი ასეთი უკომპრომისობის პირობებში?**

— არძინბა და შევარდნაძე ნამდვილად უნდა ვაიძულოთ, ელაპარაკონ ერთმანეთს. უნდა ვაიძულოთ, მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, და უნდა დათანხმდნენ ამას, თუ ისინი თავიანთი ხალხების ლიდერები არიან, თუ მათთვის ძვირფასია ხალხის ინტერესები, თუ ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას ისტორიის წინაშე, სწორედ ხალხები, უბრალო ადამიანები მოითხოვენ ამას, მათ მობეზრდათ ეს ომი. რა დიდი მიხვედრა სჭირდება იმას, რომ არც აფხაზებს, და არც ქართველებს თავიანთი ხასიათისა და მრავალსაუკუნოვანი თანამშრომლობის გამო, არ შეშვენით დაპირისპირება და მასობრივად ძმებით შემოსვა, თუ მოლაპარაკების საერთო პროგრამა მოითხოვს, გარკვეულ მოსაზრებას, პოზიციების დაახლოებას, მაშინ წამოჭრილი უაღრესად საშიში სიტუაციები გადადებას ვერ იგუებს. როგორ შეიძლება, დღეს ზოზინი და დაყოვნება. ხომ უნდა ავიცილოთ თავიდან შესაძლო კატასტროფა, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ტყვარჩელის შახტებში უამრავი მეთანის დაგროვებას? აქ დაყოვნება დანაშაულის ტოლფასია.

ერთი სიტყვით, სიტუაცია სუპერკრიზისულია.

...დარწმუნებული ვარ, დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია ელცინის, შევარდნაძისა და არძინბას შეხვედრა.

საჭიროა პოლიტიკური ცივილიზებული საშუალებებით ვიღვაწოთ მშვიდობისათვის და ნაბიჯ-ნაბიჯ გადავწყვიტოთ საქართველოსა და აფხაზეთს შორის დაგროვილი და წამოჭრილი ახალი პრობლემები, დავსახოთ სახელმწიფო ურთიერთობის მთავარი პრინციპები (ვფიქრობ, აქ გამოდგებოდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ტარას შანბას მიერ მომზადებული ხელშეკრულების პროექტი, ბუნებრივია, ერთგვარი დახვეწის შემდეგ). მაგრამ ამ პროცესისათვის უნდა ვემზადოთ, იქამდე კი, საჭიროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები. მოლაპარაკების დაწყების მთავარი პირობა უნდა გახდეს იმ მოთხოვნის რეალიზაცია, რომ საქართველომ გაიყვანოს (შეუცვალოს დისლოკაციის ადგილი) მთავრობის ჯარები აფხაზეთის ტერიტორიიდან. მაგრამ დღეს ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს ასევე შექმნილი ახალი ვითარების გათვალისწინებით. მოცემულ ეტაპზე გაყვანილ უნდა იქნენ პირადი შემადგენლობის ნაწილები, რომლებშიც აფხაზეთის მცხოვრებნი არ შედიან, აგრეთვე, რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ჩამოსულ მოხალისეთაგან ჩამოყალიბებული სამხედრო ფორმირებანი. მდინარე გუმისთის რაიონში ტყვარჩელ-ოჩამჩირის მიმართულებით უნდა მოხდეს მძიმე ტექნიკისა და ჯარების დაშორიშორება დათქმულ მანძილზე, განხორციელდეს განიარაღება შეთანხმებულ დონემდე.

ამას კი წინ უნდა უძღოდეს მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის მიხედვით შექმნილი კონტროლისა და ინსპექციის სამთა კომისიის საქმიანობის განახლება.

სასურველია, აგრეთვე შეიქმნას მეთვალყურეთა ჯგუფი, რომელშიც შევლენ რუსეთის, აფხაზეთისა და საქართველოს წარმომადგენლები, არ გამოვრიცხავ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლებსაც, რომლის შტაბბინა სოხუმში იქნება.

როცა საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი განხორციელდება სამუშაო ჯგუფის მეთვალყურეობით, კატეგორიულად უნდა მოეთხოვოს მხარეებს, შეწყვიტონ ცეცხლი ფრონტის მთელ ხაზზე, აფხაზეთის ყველა ცხელ წერტილში, დაწესდეს საომარი მოქმედების წარმოების უმკაცრესი მორატორიუმი.

დაპირისპირებულ მხარეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, დროებით საჭიროა შეიზღუდოს რუსეთის ჯარების (შეთანხმებული) კონტინგენტი, შეიძლება გამოვიყენოთ კაზაკთა სამშვიდობო ძალები სოხუმში, გაგრასა და ოჩამჩირეში კომენდანტის საათის ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის, იგი უაღრესად საჭიროა იმ მიზნით, რომ არ მოხდეს ძარცვა-გლეჯა, არ გაიზარდოს ბანდიტიზმი, სისხლის აღება. ერთობლივი ინტერნაციონალური პატრულირება ამ ღონისძიებაში უნდა გახდეს მისი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი.

რაკი ვითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის ხელში დიდძალი იარაღია, სასწრაფოდ უნდა დაისახოს მისი ჩამორთმევის გეგმა რაიონების მიხედვით და დაუყოვნებლივ დაიწყოს მისი რეალიზაცია.

**— არის თუ არა დღეს რეალური ხელისუფლება, რომელიც ასეთ გეგმას შეასხამს ხორცს?**

— იმით დავიწყებ, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების კანონიერ ორგანოთა ფუნქციონირების განახლების შესახებ მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის მოთხოვნის რეალიზაცია ამჟამად შემოთავაზებული ფორმით უკვე ვეღარ მოხერხდება.

ამიტომაც, აფხაზეთში ჩიხური სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, მისი ტერიტორიის ორ ნახევარზე პარალელური ხელისუფლების სტრუქტურების არსებობის გამო, უნდა შეიქმნას თუნდაც მინიმალური პირობები აფხაზეთის ძირითად ეროვნებათა წარმომადგენლების მოლაპარაკებისათვის. მოცემულ გადამწყვეტ ეტაპზე უნდა შეიქმნას აფხაზეთის ეროვნებათაშორისი თანხმობის დროებითი რესპუბლიკური საბჭო. ვფიქრობ, რომ მასში 60-ზე მეტი კაცი არ უნდა შედიოდეს, ისინი უნდა აეირჩიოთ აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების საერთო სახალხო კრებებზე. სწორი იქნება, თუ საბჭოში, შევლენ აფხაზეთის პარლამენტის ახლანდელი დეპუტატები, რომლებსაც თავი არ შეურცხვენიათ. საბჭოს კი, დაშვებული შეცდომების მიუხედავად, უნდა უმეთაუროს ვლადისლავ არძინბამ.

**— როგორც ჩანს, — თქვენ არ ეთანხმებით არძინბას ზოგიერთი პოზიციის გამო?**

— ...დიახ, ეს სწორია, მაგრამ დღეს ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. საქართველოსთან ურთიერთობის რეალიზაციის მეთოდები მისაღები, რეალური უნდა გამოვნახოთ, მაგრამ აუცილებლად — მშვიდობიანი, თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი და ურთიერთპატივსაცემი.

...აფხაზეთის ეროვნებათშორისი თანხმობის დროებით რესპუბლიკურ საბჭოში ადგილებიდან წევრთა — ქალაქებისა და რაიონების სრულუფლებიან წარმომადგენელთა დელეგირება უნდა განხორციელდეს ეროვნული წარმომადგენლობით საქმიანი და პროფესიული თვისებების, პატრიოტული და ინტერნაციონალური პოზიციების, მშვიდობისა და თანხმობისადმი მათი მისწრაფების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის ამ საბჭომ უნდა შექმნას თავისი პრეზიდიუმი, კონკრეტული აღმასრულებელი და განმკარგულებელი უმაღლესი ხელისუფლებისათვის (დროებითი) იგი ქმნის და ნიშნავს აფხაზეთის მთავრობას.

ამ გარდამავალ, დროებით ეტაპზე კონსტიტუციურად უნდა დამკვიდრდეს აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, აფხაზეთის ეროვნებათშორისი თანხმობის დროებითი რესპუბლიკური საბჭოს დებულება და სტრუქტურა, მისი პრეზიდიუმი და გარდამავალი მთავრობა.

**— როგორ შეიძლება ომის ან არასტაბილური შესაძლო მშვიდობის პირობებში კადრების შერჩევა თქვენი წინადადების შესასრულებლად?**

— ხელმძღვანელ დროებითს პოსტებზე ამ პერიოდში უნდა დაინიშნონ ახალთა გარდა ძველებიც, ახლა მოქმედი ავტორიტეტიანი, გამოცდილი და საზოგადოებაში პატივცემული მუშაკები, აფხაზეთის ძირითადი ეროვნების წარმომადგენლები.

**— რა პერიოდისათვის იქნება გათვალისწინებული ეს დროებითი ხელმძღვანელი რგოლები?**

(დასასრული მე-4 გვ.)



რუსეთის პრესიდან

---

## პოეზია, უპირველეს ყოვლისა

**ხუტა ბერულავა**

# ახალი წიგნიდან



სუფრის თავთან გოგიას
ეჯადოქროს ბოლომდე,
მე კი ჩავალ ქალაქში
თქვენი ლოცვა-კურთხევით.

19.8.92.

### დიდო გუთნისდედავ

ჩონგურს ჩაუწერე
მისი გვარ-სახელი,
ვისაც დედაქვეყნის
ჰკლავდა სატკივარი.
ვაი, რა ცოდოა
შვილის დამმარხველი!
ვაი, რამდენი გაქვს
კვლავაც სატირალი!

მაგრამ მწუხრის ჟამსაც
უნდა გაიხსენო,
შენ რომ მთესვარი ხარ,
ვითარ გაზაფხული.
გულმან მამულისა
თუ გწადს დაისვენოს,
მიწა გააცოცხლე.
მიწა დაზაფრული.

ახლა კაფე-თესე
თუ არ აღუღუნდა,
როგორც ოდოია —
ჰიმნი ეგრისული,
ცოდვა დაგედება
გმირთა დაღუპულთა,
ცად რომ გაჰყოლიათ
სხივი შენი სულის.

დიდო გუთნისდედავ —
ხალხო საფიცარო,
ფიქრით, როგორც მიწყივ,
მიწას ჩაეფესვე.
ყოფნა უჯეჯილოდ
ღმერთმა დაგიფაროს.
სჭექე ოდოია,
ბრძანე: კაფე-თესე!

25.4.93.

### შენი ოცნება

თვინიერ ღვთისა, შეუმცდარი
არავინ არი,
მაგრამ ცოდვისგან დაგიფარეს
დედის ლოცვებმა.
რაგინდ მძლავრობდეს გულარძნილთა
ძალა მძვინვარი,
დაიშრიტება არცა ოდეს
შენი ოცნება.

27.1.93.

### საქართველოს, საიმედო სადროშო ხარ, ნანა!

არ ეგების ამ დროს ოხვრა,
მავიწყდება ვანა, —
საიმედო სადროშო ხარ
მამულისა, ნანა!

სიამაყე ოდინდელი
შენ დაგყვება თანა, —
მშობელი ხარ ჰყონდიდელის
და ცოტნესი, ნანა!

შვილთა შენთა სახელები
ცის ტატნობზე ჩანან.
პოეტები და მხედრები
გამხნევებენ, ნანა! —

მას, ვინც შენზე ეჭვიანობს,
არ მოეკოს ყანა.
გულში შიში შეჭრიათ.
ვერვინ გითხრას, ნანა!

თუმცა ძალზე გტკივა გული,
ვით უფალმა ბრძანა,
საქართველოს სიყვარული
უძლევია, ნანა!

შესაშური მტერსა ჰქონდეს:
— რა შვილები ჰყვანან...
და თუ ოდეს მოგაგონდე,
შენთანა ვარ, ნანა!

30.1.93

### სოფელი ლიშო, ირაკლი ლომაშვილს...

ქალბატონო ელისო
და ირაკლი — ბატონო,
მე, ჭაღარა ძმობილმა
თიანელი მგოსნების,
ეს ღვთიური სახლკარი
ისე როგორ დავტოვო,
არ დავლოცო ერთხელაც
თქვენი ანგელოზები:

დაიზარდონ ჯაფითა,
წიგნითა და ღმერთითა.
მადლი ნურც ერთს მოაკლოს
ამ ბუნებამ ტურფამა.
არწივებად აფრინდნენ
მშობლიური კერიდან.
წმინდა რაიც ისურვონ,
აუხდინოს უფალმა.

დაე, მათებრ ლაღობდეს
ლიშოს ყველა პატარა,
ყველას გული გაულხოს
ამ კაშკაშმა მზისამა.
არცა ოდეს შეშლოდეთ
შური რაა, ნატვრა რა,
და წყალობით აღავსოს
ჯვარმან ლაშარისამან...

მასპინძლებო, კარგებო,
ბედნიერად გვყოლოდეთ,
საგაისოდ მომეთხროს,
რაიც დამრჩა უთქმელი...

### თიანეთური კაფია

თუმცა შემომაღამდა,
შევყოვნდები წამით მე,
მეუფეო ლხინისა,
ერთი სიტყვაც დამითმე:

აქ შეგვყარა მგოსნები
მთების ლაღმა ასულმა.
ვაჟაობის იმ დღიდან
ჰაუ, რა დრო გასულა!

დავლოცვიდეთ ამისთვის
გონჯილაანთ მაროსა, —
მთაში ბევრჯერ ენახოთ
ივრისპირას, წყაროსთან.

მივესალმოთ შორიდან
კაი დას და კაი ქალს.
...ამ კოკორა კაფიამ
ნეტავ, მეტი რაი ქნას?

3.2.93.

### ქობულეთი, სექტემბრის მიწურული...

გავეშებული ვეშაპივით
ზღვა იზმორება,
გადაინაცვლეს ქარებივით
სხვაგან დარებმა.
ნეტავ, რამდენი მეცხრე ტალღით
გაიზომება
ეს მიმოქცევა შავი ზღვისა
და გადარევა?

30.9.92.

### დაე, საფიხვნო დაგვილოცოს...

ჩვენგან ნურავის გაეგონოს
სიტყვა მომცდარი,
სახელი ცოტნე წავიმძღვაროთ,
ვით სალოცავი.

მისგან გვესწავლოს ერთგულება.
ძლევა, გატანა,
ამ ერთგულებას დაცაეზროს
ყველა სატანა.

ჰაუ, რა ვრცელი გველოდება
წინ გზა და შარა!
დაე, საფიხვნო დაგვილოცოს
წმინდა ლაშარმა.

9.3.92.

### 1993 წელი

და ესეც ახალი წელია.
მოვიდა.
ზუზუნებს, ქარი და,
გითხრა რად ირევა? —
ყელამდე სისხლიდან,
ნამქრიდან, თოვლიდან
ძლივს გამოაღწია,
ვით ხარმა ირემმა.

მინდორზე წითური
ხანძარი ბალახობს,
არ ცხრება გოროზი
და ერთი სული აქვს,
მოაშთოს, დაამხოს,
დასცეს და დალახვროს
სრულიად საქართველო...
სრულიად... სრულიად...

ო, ღმერთო წმინდაო
და ყოვლად ძლიერო,
ნუ იზამ, ძმაი ძმას
ქვაგუნდას უშენდეს.
მიწა რომ ჰყვაოდეს.
ერმა რომ იეროს,
სამშობლოს მშვიდობა
მიეც და უშველე!

15.1.93.

### ძმაო ქართველო...

დგება ის ჟამი, ძმაო ქართველო,
ცისკენ მზირალი რასაც ნატრობდი!
სული ქართული ხამს გაამრთელო
და არა სიმხნე გლადიატორის.

14.11.90

### მიაქვს პირიმზე...

ზემოდან მოჩანს
ხევი — ღარტაფი
და გზას მიიკვლევს
ხელი ღვარტქაფი.

— ვაი, იხრჩობა
წყალში პირიმზე! —
შეჰკრთი უეცრად
ქალის ტირილზე.

წყალმა წაიღო
ყვავილი მთების...
ჟამია ცისკრის
და გარინდების.

14.1.93.

### ვის დაანებებს...

ბავშვობის დღეებს, ვით ხსოვნაში
მლვიძარ ზმანებებს,
დასავიწყებლად მგოსნის გული
ვის დაანებებს?

20.9.92.

# დანაშაულებრივი დაყოვნება

(დასასრული)

— უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მოკლე ვადაში თანხმობის საფუძველზე მივაღწიოთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილიზაციას. და არა უგვიანეს, 1993 წლის სექტემბრისა, მოვაწყოთ აფხაზეთის რესპუბლიკის ახალი პარლამენტის რიგგარეში არჩევნები.

**— როგორი იქნება მთავრობის პირველი ნაბიჯები? თქვენი პროგნოზი?**

— ჯერ ერთი, მთავრობამ თავის საქმიანობაში ხელი უნდა აიღოს ძველ სტერეოტიპებზე, მან ახლებურად უნდა იმუშაოს. საჭიროა საქმიანი მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა ფირმებთან, ბიზნესის ახალ სტრუქტურებთან, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მარჯვედ შეახამოს სახელმწიფო წარმოება კერძო მეწარმეობასთან და კოოპერატორებთან, თავი მოუყაროს სახსრებს ინვესტიციებისათვის, აფხაზეთის დანგრეული ტერიტორიის აღსადგენად, მისი ეკონომიკის გასავითარებლად.

ომი თავისი პირდაპირი დანიშნულების — ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტის გარდა — წარმოშობს ქაოსს, აღვირახსნილობას და დაუსჯელობას.

ამ პირობებში მაშინვე უნდა დავუქვემდებაროთ უმკაცრეს კონტროლს კრიმინოგენული სიტუაცია, ძირითადი ფონდების განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზაციის პროცესი და ცალკეული ობიექტების იჯარით გადაცემა, მიწის განაწილება, რათა კატეგორიულად გამოირიცხოს უხეში შეცდომები და ბოროტმოქმედებანი ამ მნიშვნელოვან სახალხო-სახელმწიფოებრივ საქმეში, თავიდან ავიცილოთ პირთა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა სასარგებლოდ ამ საკითხების გადაჭრის შესაძლო ცდები, და უკანონოდ მოხვეჭილი კაპიტალის მეშვეობით.

მთავრობამ უნდა მოიფიქროს ფინანსური მდგომარეობის, ფულადი მიმოქცევის რეგულირების საკითხები. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოღებულია ეროვნული კუპონები და არასტაბილურია მანეთი და მთლიანად სამანეთო ზონა, საჭიროა შემუშავდეს ამ ეტაპზე მოქმედების კონკრეტული ფინანსურ-ფულადი პროგრამა, მისი რეალიზაციის მექანიზმი, გავათანამედროვოთ ბანკების მუშაობა.

მთავრობის ყველაზე ქმედითი ღონისძიება ის უნდა იყოს, რომ დადოს სტაბილური ეკონომიკური შეთანხმებანი სხვა რესპუბლიკებთან შეღავათიანი პირობებით.

აუცილებლად უნდა დაიწყოს პერსპექტიული მუშაობა. ამისათვის უნდა შეიქმნას კომისია უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობით, შედგეს აფხაზეთის აღორძინების, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერ-კულტურული განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, მისი ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წყობის საფუძველზე. აფხაზეთის ეროვნებათაშორისი თანხმობის დროებითმა რესპუბლიკურმა საბჭოს პრეზიდიუმმა კი უნდა შექმნას აფხაზეთის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისია, მოიწონოს იგი საბჭოზე და შემდგომ დაამტკიცოს ახლად არჩეულმა პარლამენტმა.

**— როგორი შეიძლება იყოს ამ პერიოდში აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობა?**

— თუ აღნიშნული წინადადება განხორციელდება, იმავდროულად უნდა შეიქმნას სრულუფლებიანი წარმომადგენლობითი საექსპერტო სამუშაო ჯგუფები აფხაზეთისა და საქართველოს მხარესთან საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შემუშავებისათვის (ფედერაციული თუ კონფედერაციული — გვაჩვენებს მოლაპარაკების პროცესი).

ღონისძიებათა მთელი კომპლექსი საჭიროა განხორციელდეს ორ თვეში, აფხაზეთის რესპუბლიკის ახალი პარლამენტის არჩევნებამდე.

ომის მიუხედავად, უნდა აღორძინდეს აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთპატივისცემა (რაც უნდა ძნელი იყოს დღეს ეს), სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობა, თანამშრომლობა ცხოვრების ყველა სფეროში თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ პირობებში. თუ ადამიანის უფლება-თავისუფლებანი დაცული იქნება ჩვენშიც, ვინ იცის, იქნებ, დაიწყოს კიდეც დაბრუნება აფხაზურმა დიასპორამ...

**— რა როლს მიაკუთვნებდით თქვენ რუსეთს აფხაზთა და ქართველთა შორის მშვიდობის დამყარების პროცესში?**

— რუსეთის ფედერაციამ ამ უგუნური სისხლისღვრის შეწყვეტისათვის თავისი სამშვიდობო მისია უფრო გარკვეულად, თანამიმდევრულად, და მტკიცედ უნდა შეასრულოს.

დიდი იმედი მაქვს, რომ ერთობლივი მეცადინეობით, აღვადგენთ მშვიდობასა და ხალხთა ურთიერთპატივისცემას მადლიან აფხაზურ მიწაზე და შევძლებთ, ჩამოვირეცხოთ ჩვენი თაობის ცოდვა წინაპართა ხსოვნის წინაშე და შთამომავალთა კეთილდღეობისათვის.

---

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

## ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ეს აქტუალურია

### ლოჯიები ხეთა ნაცვლად

**ბუნების** დანგრეულ კუთხეებსა და მათ ადგილას მიშენებულ სახლების ლოჯიებს, ახალმინაშენებს საცხოვრებელ და სამრეწველო შენობებზე დღეს თბილისის ყველა რაიონში ნახავთ. ეკოლოგები, ეტყობა, ვერც ასწრებენ ამოძირკვულ ნარგავთა თვლას: მათი რაოდენობა ახლა ათიათასობით განიზომება....

არადა, იყო დრო, როცა საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული მოგზაურები აღტაცებით წერდნენ, რომ მას გარს ეკრა ვაშლის, ატმის ბაღები. ძალიან გემრიელი და იაფი ხილი ქალაქის ბაზრებზე მიჰქონდათ. მაგრამ ყოველივე ეს წარსულს ჩაჰბარდა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ვარკეთილის მეურნეობა ქალაქელებისათვის ხილის მთავარი მიმწოდებელი იყო, მაგრამ ახლა მის მიწებს სულ სხვა მიზნებით იყენებენ. რაც შეეხება იგივე ვაშლის ახლანდელ ფასებს, ლაპარაკიც კი არა ღირს, იმდენად დიდია! როგორც სპეციალისტებმა განსაზღვრეს, ქალაქის მიკროკლიმატი ახლა შესამჩნევად გაუარესდა. ეს გასაგებიცაა: ყოველდღე ხომ ხეხილისა და ფოთლოვანთა ხეები, რომლებიც ქალაქის „მწვანე ფილტვების" საფუძველს შეადგენს, სულ უფრო კლებულობს.

**რ. ახმეტელი,**

### აზერბაიჯანელები მხარში გვიდგანან...

**გარდაბნის** რაიონის გამგეობის ცნობით, ქვეყნის თავდაცვის ფონდში ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლებიდან შეტანილია ერთი მილიონი მანეთი, რაიონის მოსახლეობამ და საწარმო-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა შეკრიბეს და ამ ფონდში შეიტანეს ნაღდი ფული სამი მილიონი მანეთი. მთლიანად წლის დასაწყისიდან გარდაბნელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 12 მილიონ მანეთზე მეტი. თანხების შეგროვება გრძელდება.

გარდა ამისა, გარდაბნელებმა წელს ორჯერ გაუგზავნეს მდიდარი ნობათი — ათობით ტონა ტვირთი — სოხუმსა და ოჩამჩირეში სამშობლოს მთლიანობისათვის მებრძოლ პატრიოტებს: ეს იყო რამდენიმე ტონა ფრინველისა და საქონლის ხორცი, ათასობით ცალი კვერცხი, კონსერვი, ხილის წვენები, პურის ფქვილი და გამომცხვარი პური, მწვანილი, ბოსტნეული... შემოწირულობათა შეგროვებაში ქართველებთან ერთად აქტიურობენ აზერბაიჯანელი მშრომელები.

რაიონში სტუმართმოყვრულად მიიღეს აგრეთვე რამდენიმე ლტოლვილი ოჯახი. მათ მისცეს ფულადი დახმარება, უწილადებენ საკვებ პროდუქტებს. გარდაბნელები ძალისხმევას წარმართავენ, რათა გადავიტანოთ ომის საშინელებით გამოწვეული სიძნელეები და ვაშენოთ თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა.

**დავით ლომიძე.**

### მარტოხელები მარტონი არ არიან

**კარგა** ხანია, რაც თბილისში საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის ინიციატივით იმართება რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს გაჭირვებულთა და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილთა დახმარებას. ერთი ასეთი ღონისძიება — მოწყალების კვირეული — ამ დღეებში გაიმართა, რომლის მიზანი იყო რესპუბლიკაში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული თანამემამულეების, მარტოხელა ხანდაზმულების, ინვალიდების და სხვადასხვა უბედურებით დაზარალებულთა დახმარება და შემწეობის აღმოჩენა. აღნიშნული ღონისძიება გაიმართა სოცუზრუნველყოფისა და შრომის დაცვის სამინისტროს კოლექტივთან მჭიდრო თანამშრომლობაში.

კვირეულის ერთ-ერთი ღონისძიება იყო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა", რომლის ბილეთებიც მთლიანად შეიძინა მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა.

მოქალაქეთა თეატრში მიყვანა და დასწრება უზრუნველყო სოცუზრუნველყოფის და შრომის სამინისტროს სოცდახმარების სამმართველომ და რაიონულმა განყოფილებებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მთელი რიგი სამინისტროების წარმომადგენლები, ქალთა და ვეტერანთა საბჭოები. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მოხუცები, რომლებიც ალბათ ვინ იცის რამდენი წელია თეატრში არ ყოფილან, მორალურად გამხნევდნენ და დასაჩუქრდნენ კიდეც.

როგორც საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ თოფურიამ და მისმა მოადგილემ ბატონმა თამაზ ბერიძემ გვითხრეს, მოწყალების კვირეული ყოველწლიურად ემთხვევა სააღდგომო დღესასწაულს და განპირობებულია იმით, კიდევ ერთხელ გავახსენოთ ადამიანებს, რომ მარტონი არ არიან. მათი სურვილია ასეთი კვირეულები ხშირად მოეწყოს და ადამიანებმა იგრძნონ სულიერი სიახლოვე და თანადგომა. მარტო თბილისში ოთხი ათასი მარტოხელაა, საერთოდ საქართველოში კი ათიათასი და უფრო მეტიც.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კულტურულ-სამეცნიერო საქველმოქმედო ასოციაცია „გზის", საზოგადოება „ექტს ინტერნეიშენელის", „ექტს ჯორჯიას", სოცუზრუნველყოფისა და შრომის, ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც სურთ უფრო მეტად ამოუდგნენ მხარში სოციალურად დაუცველ ადამიანებს.

მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი აპირებს უფრო სერიოზულად დაეხმაროს აფხაზეთში დაჭრილებს, დასახიჩრებულთა და დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც საჭიროებენ თანადგომას, და ამ საქმეში დიდი წვლილი ჩვენმა მოსახლეობამ და განსაკუთრებით ახალგაზრდობამ უნდა გაიღოს.

**იზა ჯაჭვაძე.**

### კიდევ ერთი ახალი გაზეთი

**გამოვიდა** აჭარის აღორძინების სრულიად საქართველოს კავშირის გაზეთ „აღორძინების" პირველი ნომერი.

გაზეთის სარედაქციო კოლეგია ფიქრობს, რომ გაზეთი „ჭეშმარიტი აღორძინების, ჩვენი სათაყვანებელი საქართველოს ყველა კუთხის შვილების შერიგებისა და შენების სამსახურში იქნება მუდამ". ღმერთმა ხელი მოუმართოს გაზეთის რედაქტორს ბატონ ნუგზარ ჯაფარიძეს და რედაქციის კოლექტივს ამ საშვილიშვილო საქმეში!

აჭარის აღორძინების სრულიად საქართველოს კავშირის თავმჯდომარის, ბატონ ასლან აბაშიძის რწმენით, გაზეთი „აღორძინება" „ჭეშმარიტად ქართული, მართალი და ობიექტური გაზეთი იქნება".

### ჩვენი „ოქროს დათვი"

**როგორც** სპორტის მოყვარულთათვის ცნობილია ინგლისის დედაქალაქ ლონდონში ქართველმა მკლავჭიდელებმა ევროპის მე-3 ჩემპიონატში 8 „ოქრო" და 1 „ბრინჯაო" მოიპოვეს.

ერთი თვეც არ გასულა და აი, მოსკოვში „ოქროს დათვის" მეოთხე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა დავით ჰელიძემ.

კანადელ, იაპონელ, ამერიკელ და სხვა ქვეყნების უძლიერეს ათლეტებთან შერკინებაში ქართველ მკლავჭიდელს სერიოზული წინააღმდეგობაც ვერავინ გაუწია.

დავითმა „ცვეტნოი ბულვარის" ცნობილ ცირკში მიმდინარე ტურნირზე ლამაზად დაამარცხა, მაგალითად, 160-კილოგრამიანი პროფესიონალი ამერიკელი მკლავჭიდელი მაკინტაირი.

საქართველოს ნაკრები მოსკოვში ერთი ათლეტით იყო წარდგენილი, რომელმაც 200 დოლარი და მთავარი პრიზი „ოქროს დათვი" მოიპოვა, თუმცა ინფორმაციებში ნახსენები იყო საქართველოს ნაკრების წარმატება.

საინტერესოა, რომ ორგანიზატორებმა ეს ტრადიციული ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატად მონათლეს. მათ მხარი დაუჭირეს ამერიკელმა პროფესიონალებმაც.

20 წლის თბილისელი მკლავჭიდელი დავით ჰელიძე უძლიერესი იყო მძიმე (100 კილოგრამი) და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში.

დავითი ამართლებს 2-გზის მსოფლიოს ჩემპიონის ზაურ ცხადაძის სიტყვებს — ჰელიძე მომავალი ჩემპიონიაო.

ოქტომბერში ჩვენს მკლავჭიდელებს კანადაში მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლა ელით...

**გაბრიელ გარჯაძე.**

სურათზე: მკლავჭიდელი დავით ჰელიძე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

---

## ხსოვნა

### კარლო ტაბატაძე

გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კარლო გიორგის ძე ტაბატაძე.

დაიბადა 1930 წელს ქ. გორში. 1954 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია ექიმის კვალიფიკაციით. მუშაობდა ქ. ლენინგრადში სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სამხედრო-საველე კათედრის მასწავლებლად, ქ. მოსკოვში სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიის კათედრაზე მასწავლებლად, კათედრის უფროსად.

1967 წელს იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში ვიეტნამში, 1983 წელს კი — ავღანეთში.

კარლო ტაბატაძეს ეკუთვნის 80-ზე მეტი შრომა, მათ შორის 4 მონოგრაფია, ერთი გამოგონება.

1990 წლიდან ბოლო დრომდე მუშაობდა ქ. ხაშურში ქირურგიული განყოფილების გამგედ.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მუშაკი, უანგარო პიროვნება, პირუთვნელი მოქალაქე.

საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის საექიმო-სანიტარიული სამსახური.

---

საქართველო-იტალიის ერთობლივი ფირმა «ნირო» გიწვევთ:

იტალიაში — ადრიატიკის ზღვაზე, ვენეციასთან მდებარე საკურორტო ქალაქ კაორლეში, 7 დღე დასვენებით 19-26 ივნისი) ცხოვრება 2-3 ადგილიან ნომრებში, ორჯერადი კვებით. ექსკურსია ვენეციაში.

ფასი 280 დოლარი და 160 000 მან. (თვითმფრინავით).

ჰოლანდიაში — 5 დღე ამსტერდამში, ცხოვრება 3 ვარსკვლავიან სასტუმროში, ორჯერადი კვებით. მსურველებს დავეხმარებით ავტომანქანების შეძენაში.

ფასი 320 დოლარი და 180 000 მან. (თვითმფრინავით).

საბუთების შემოტანა 15 მაისამდე.

მისამართი: ჯიქიას ქ. №6, მე-5 სართული
(ქავთარაძის ქუჩის გაგრძელება).
ტელ: 31-27-78, 31-00-11, 31-47-36
(11-დან 16 სთ-მდე)
და ტელ: 99-68-01 (17 სთ-ის შემდეგ).

ფირმა «ბასა»

1. იყიდის ამერიკულ დოლარს უნაღდო ანგარიშსწორებით 4100 მანეთად.

2. იყიდის გერმანულ მარკას უნაღდო ანგარიშსწორებით 2000 მანეთად.

3. აწარმოებს ნაღდ მანეთებში უნაღდო მანეთების გადარიცხვას კოეფიციენტით 3.

4. აწარმოებს გადარიცხვებს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში კოეფიციენტით 3.3.

5. გადარიცხვით შეიძენს კონიაკს, ღვინოს, შამპანურს, ჩაის.

6. იყიდის ამერიკულ დოლარს ნაღდი ანგარიშსწორებით 1200 კუპონად.

კურსი ყოველდღე იცვლება.

ჩვენი მისამართია: მ. კოსტავას №69ა.
ტელ: 98-63-10.

---

## ვეტერანები:

## ვემსახურებით საქართველოს!

**ომია** დღეს საქართველოში. იგი, როგორც ცნობილია, თავს მოგვახვიეს თვით აფხაზი ხალხის დაუძინებელმა მტრებმა — ექსტრემისტებმა, არცთუ მოულოდნელად ამ ომში ჩაბმული აღმოჩნდნენ ჩვენი „უფროსი ძმის" — რუსეთის რეაქციული ძალები, რომლებსაც არამც და არამც არ უნდათ შეელიონ თავის საოცნებო სამხრეთის ზღვისპირეთს. ეს აშკარად თქვა კიდეც სოჭის მოლაპარაკებისას რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა...

ამ და ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ სხვა პრობლემებზე სრულიად კანონზომიერადაც ლაპარაკობდნენ ამ დღეებში გამართულ ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხები: „რესპუბლიკაში შექმნილი რთული ვითარების პირობებში ვეტერანთა ორგანიზაციების ამოცანების შესახებ" და „ვეტერანთა ორგანიზაციების მონაწილეობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში".

მომხსენებელმა, ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა ა. ბერიძემ, აგრეთვე კამათის მონაწილეებმა აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა, ვეტერანთა საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნ. ჯაშმა, პოეტმა ვ. გორგანელმა, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, ბოლნისის, ჭიათურის, ვაკის ვეტერანთა რეგიონული საბჭოების თავმჯდომარეებმა გ. მათითაშვილმა, რ. ართმელაძემ, გრ. რუხაძემ, ნ. მაისაიამ, შ. რეხვიაშვილმა, გ. თაბაგარმა, ბ. ყურაშვილმა, პარლამენტის წევრმა შ. კეკელიამ, სამამულო ომის გმირმა კ. უკლებამ, პროფესორებმა ნ. ფანჯავიძემ და ა. ირემაძემ, შრომის ვეტერანმა, პედაგოგმა ი. ნათიაშვილმა, ჟურნალისტებმა გ. გოგოხიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთში მიმდინარე ომით გართულებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პირობებში ვეტერანთა აბსოლუტური უმრავლესობა გმობს აფხაზი სეპარატისტების და რუსეთის სამხედრო რეაქციული ნაწილების წრესგადასულ ქმედებას, მიმართულს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციისაკენ, და მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას.

ვეტერანებმა სამართლიანი შეფასება მისცეს იმ „ოპოზიციურ" გაზეთებს, რომლებიც თავიანთი ცილისმწამებლური პუბლიკაციებით წყალს უშვებენ საქართველოს მტრების წისქვილზე. მოიყვანეს რა ამ მხრივ კონკრეტული მაგალითები, კანონიერებისაკენ მოუწოდეს ყველას, ვინც თავისი მტრულად გამიზნული პოლიტიკით ხელს უწყობს საქართველოში პოლიტიკური ვითარების დაძაბვას, ქართველი ერის ორად გახლეჩას.

რაც შეეხება მონაწილეობას ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში, ვეტერანები აქტიურად გაშლიან მუშაობას მოსახლეობაში, რათა ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ღირსეული ადამიანები.

ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს გაფართოებული პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა ჯაბა იოსელიანმა. პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

**ზურაბ მერკვილაძე.**

---

საბროკერო ფირმა
010/1 BACCIT

თუ თქვენ თვლით, რომ დრო - ფულია თქვენ გჭირდებით ჩვენ !

ჩვენი ფირმა გაგიწევთ შუამავლობას ყველა სახის ოპერაციების შესრულებაში, რომლებიც დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან, ვალუტასთან და ფასიან ქაღალდებთან (აქციები, ობლიგაციები).

ჩვენ ვმუშაობთ ამიერკავკასიაში ყველაზე მსხვილ "კავკასიის ბირჟა."-ზე.

დარეკეთ ჩვენთან : 39-00-71
BACCIT - საიმედობა და პროფესიონალიზმი

---

# ექიმი ჩვენს ოჯახში

**თბილისში შეიქმნა საოჯახო სამედიცინო საკონსულტაციო სამსახური (4 სანი), რომლის შესახებაც საუბარი ვთხოვეთ სამსახურის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს გიორგი ბეჟარაშვილს.**

**— ბ-ნო გიორგი რამდენიმე სიტყვა თქვენს შესახებ.**

—დავამთავრე მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტი, ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში, რომელსაც აკად. ვ. ბურაკოვსკი ხელმძღვანელობს, გავიარე ორდინატურის კურსი კარდიოქირურგიის სპეციალობით, შემდგომ იგივე ინსტიტუტში ასპირანტურა და პრაქტიკული მუშაობა გადაუდებელ კარდიოლოგიაში, 1989 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ორი წელიწადი ვმუშაობდი — კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილებაში. ამჟამად ვმუშაობ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთ თერაპიულ კათედრაზე.

**— რა მიზნებს ისახავს თქვენი სამსახური?**

— ჩვენი სამსახური შექმნილია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. როგორც ცნობილია, მრავალი წლის განმავლობაში უბნის ექიმი — თერაპევტი ითვლებოდა „ძირითად ფიგურად" ჩვენი ჯანდაცვის სისტემაში, მაგრამ დღევანდელ დღეს ჯანდაცვის ნარჩენი პრინციპებით დაფინანსება, სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამედიცინო ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა ნაკლები დაინტერესება ამ სპეციალობით მუშაობისადმი, აგრეთვე კადრების არასაკმარისი კვალიფიკაცია არ იძლევა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სათანადო დონეზე უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

ჯანდაცვის სისტემაში ახალი სამეურნეო მექანიზმების დანერგვა, ხოლო შემდგომ სადაზღვევო მედიცინაზე გადასვლა, მოითხოვს ახალი ფორმაციის — ოჯახის ექიმის — ინსტიტუტის შემოღებას, მაგრამ რეორგანიზაციისა და ოჯახის ექიმის სისტემაზე გადასვლისათვის საჭიროა დრო. ძველი, ინერციით ჯერ კიდევ არსებული, სისტემა პრაქტიკულად მოშლილია სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. სადღეისოდ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში შეიქმნა ვაკუუმი. 4 სანი სწორედ ამ ვაკუუმის შესავსებად ჩამოყალიბდა. მისი მიზანია სამედიცინო მომსახურების ახალი, ეფექტიანი ფორმების დანერგვა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ექიმის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება მოსახლეობაში.

**— მგონია, რომ ექიმის პროფესია ყველა დროში და ყველა სახელმწიფოში, მათ შორის ჩვენთანაც, პრესტიჟული იყო. ამას მოწმობს, თუნდაც ის, რომ ჩამოყალიბდა მრავალი კერძო სამედიცინო ინსტიტუტი, რომლებიც სტუდენტების ნაკლებობას არ უნდა განიცდიდნენ.**

— რაც შეეხება დროს და სახელმწიფოებს, გეთანხმებით, ხოლო რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ჩემი აზრით, აქ უფრო „შემოდგომის აზნაურობის" სინდრომთან გვაქვს საქმე. პრესტიჟულობას განაპირობებს სამი ძირითადი ფაქტორი: 1. ინტელექტუალური დონე; 2. მაღალი ანაზღაურება და 3. საკუთარი სახე და ადგილი საზოგადოებაში, სამწუხაროდ, პირველი ფაქტორის გარდა (ისიც არა ყველა შემთხვევაში) დღეს დანარჩენი ორი აღარ არსებობს. ჩვენთან ექიმი შეუძლიათ შეურაცხყონ, სცემონ, აწვალონ, მძევლად აიყვანონ, მოკლან კიდეც და ხშირად ეს მისი თავდადების პასუხად. მე არ მინდა ჩვენი საზოგადოების სულიერი და მორალური დაკნინების მიზეზებზე ლაპარაკით თავი შეგაწყინოთ. ამას ძალიან ღრმა ფესვები აქვს, რომლის ნაყოფიც არის ისეთი საბჭოური ფენომენი, როგორიცაა: მაღაზიაში, რესტორანში, ტურისტულ ტურნეში ყველას დასანახად ფულის (ხანდახან ნასესხების) ხარჯვა. ავადმყოფობის შემთხვევაში კი ექიმისათვის ჩუმად, მალულად ჯიბეში დაჭმუჭნული ფულის ჩადება, აქაოდა არავინ დამინახოსო.

**— მაგრამ ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ ჩვენთან 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უფასო სამედიცინო მომსახურება იყო...**

— ვერ დაგეთანხმებით, ვიღაცისთვის, ალბათ, იყო კიდეც ასე, თორემ თუ ადამიანი სერიოზულად ავად გახდებოდა, ის და მისი ახლობლები კარგად გრძნობდნენ ასეთ „უფასობას". მაგრამ ამან მაინც გამოუმუშავა ხალხს სტერეოტიპი, რომ „ეს (სამედიცინო მომსახურება) მე უფასოდ მეკუთვნის" და ექიმთან ურთიერთობა ხშირად კატა-თაგვობანას თამაშს ჰგავდა.

**— ჩვენ საუბრის ძირითად თემას გადავუხვიეთ, ალბათ, უმჯობესია კვლავ თქვენს სამსახურზე ვისაუბროთ...**

— ჩვენი სამსახური მოწოდებულია დანერგოს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აპრობირებული სამედიცინო მომსახურების ფორმები, რაც იმით გამოიხატება, რომ კონკრეტულ ოჯახს ეყოლება კონკრეტული ექიმ-კონსულტანტი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე იქნება ოჯახის წევრების ექიმი და დაიცავს მათ ინტერესებს ყველგან და ყოველთვის.

**— მაგრამ უბნის თერაპევტიც ხომ იგივე ფუნქციებს ასრულებს?**

— დაახლოებით, საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი ურთიერთობა გარკვეულწილად იძულებითია, ადამიანი ექიმს მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ მას სჭირდება საავადმყოფო ფურცელი ან ავად გახდება. არ არის გათვალისწინებული ნდობის ფაქტორი, ექიმს არა აქვს სათანადო ანაზღაურება, მაგრამ ვალდებულია მიიღოს პაციენტი ან მივიდეს მასთან. ასეთი ურთიერთობა ზოგჯერ ეპიზოდურ, ზოგჯერ კი დამქანცველ ხასიათს ატარებს, გარდა ამისა, უბნის ექიმ-თერაპევტის შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ჩვენს შემთხვევაში საქმე სხვაგვარად არის. ჩვენი მუშაობა დაფუძნებულია ურთიერთთანხმობაზე, ნებაყოფლობითია და გათვალისწინებულია ნდობის ფაქტორი. ოჯახის მხრიდან ეს გამოიხატება სურვილით ჰყავდეს მაღალკვალიფიციური ექიმ-კონსულტანტი, მრჩეველი სამედიცინო საკითხებში. ექიმ-კონსულტანტი განურჩევლად პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა, უწევს მას სამედიცინო მეთვალყურეობას, რაც აძლევს საშუალებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი პროფილაქტიკური ზომები. ექიმის დაინტერესებას უზრუნველყოფს მატერიალური ანაზღაურება, ამიტომ იგი ცდილობს გამოავლინოს თავისი ცოდნის მაქსიმუმი, რომ ოჯახი კმაყოფილი იყოს მომსახურებით. გარდა ამისა, ასეთი დამოკიდებულება პროფესიული ზრდის საწინდარია. აბა თავად განსაჯეთ, ავადმყოფობის შემთხვევაში ადამიანი მიდის ან სამედიცინო კოოპერატივში ან პირადი კონტაქტების მეშვეობით ხვდება ცნობილ დასტაქართან. მიიღებს რა გარკვეულ რჩევა-დარიგებებს, ავადმყოფი რჩება თავის თავთან მარტო. ამიტომ ეს არ იძლევა საჭირო ეფექტს. ოჯახის კონსულტანტს კი აქვს გამოკვლევების შემაჯამებელი მონაცემები და სპეციალისტთა დასკვნები. იგი თვითონ იღებს მათგან კონსულტაციებს. ცდილობს გამონახოს ოპტიმალური გზა, ნიშნავს კომპლექსურ მკურნალობას, თან არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ავადმყოფი მუდმივ სამედიცინო კონტროლს ექვემდებარება და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული მკურნალობის საბოლოო შედეგი.

**— ხომ არ გექნებათ პრობლემა კადრების შერჩევასთან დაკავშირებით?**

— თბილისში საკმაოდ ბევრი პროფესიონალი ექიმია. საწყის ეტაპზე ჩვენ შერჩეული გვყავს კონსულტანტები, ჩვენი მოღვაწეობის არეალის გაფართოების შემთხვევაში კი ექიმებს კონკურსით მივიღებთ.

**— ალბათ უბნის თერაპევტებს გაუწევთ კონკურენციას...**

— ჯანსაღი კონკურენცია ყოველთვის სასარგებლოა. ვინც დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს ავიყვანთ აღრიცხვაზე და საჭიროებისამებრ მივიღებთ სამსახურში.

**— რა ეღირება თქვენი მომსახურება და ექნება თუ არა მნიშვნელობა ფულის ნიშნებს?**

— საფასური ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე განისაზღვრება. რაც შეეხება ფულის ნიშნებს, მივიღებთ კუპონებს, მანეთებს და მყარ ვალუტას. მთელ რიგ შემთხვევებში გათვალისწინებულია შეღავათები, უფასო მომსახურება.

**— თუ თქვენი პაციენტი სტაციონარში მოხვდება და მოგიწიათ მისი ინტერესების დაცვა, ხომ არ გაართულებს ეს თქვენს ურთიერთობას სხვა ექიმებთან?**

— არა მგონია, რადგან ამ შემთხვევაში ოჯახის, კონსულტანტის და სტაციონარის ექიმების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა. ჩვენ მივაწვდით დამატებით მონაცემებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის, შესაძლებელი ხდება ერთობლივი მუშაობა, კონსილიუმის ჩატარება, რაც უფრო ეფექტურს გახდის მკურნალობის პროცესს. უფრო მეტიც, ეს აუცილებელიც არის, რადგან კოლეგასთან საუბარი და საკითხის ერთობლივი გადაწყვეტა სჯობს ფორმა № 27-ით ურთიერთობას.

**— თუ სხვა სპეციალისტის მოწვევა იქნება საჭირო, ეს, ალბათ, ცალკე საფასურით მოხდება?**

— დიახ, ჩვენ ოჯახს ვემსახურებით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში და ამაში ვიღებთ გასამრჯელოს.

**— ხომ არ ამჯობინებს მოსახლეობა დაზღვევას, მით უმეტეს, რომ ჩვენშიც გამოჩნდა ასეთი სადაზღვევო კომპანიები?**

— ყველა სახელმწიფოში მოქალაქეს აქვს უფლება დააზღვიოს სიცოცხლე, ქონება, დაიზღვიოს ადვოკატის სამსახურზე, მაგრამ ყველას არ ჰყავს ოჯახის ექიმი. ამას სურვილი და შესაძლებლობა განაპირობებს.

**— როგორ შეიძლება თქვენთან მსურველები მოხვდნენ?**

— მსურველთა რეგისტრაცია 26 აპრილიდან დავიწყეთ. საკონტაქტო ტელეფონებია: 38-45-53 22-36-36, 16-დან 20 საათამდე.

---

გემსახურებათ

სამედიცინო ინსტიტუტის სექსოლოგიის კათედრასთან მოქმედი სექსოპათოლოგიის სამეურნეოანგარიშიანი ცენტრი

ცენტრი გთავაზობთ მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა სექსუალური სფეროს დარღვევების, აგრეთვე მამაკაცთა უშვილობის, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. მომსახურების აკადემიური დონე უზრუნველყოფილია ცენტრში სექსოლოგიის კათედრის თანამშრომელთა მუშაობით. ანონიმურობა დაცულია.

მიღება 10-დან 16 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 83/11, მე-3 სართული, ოთახები №115-132, ტელ: 31-44-78.

### საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ნამდვილ წევრთა საყურადღებოდ:

ა. წ. 7 მაისს, დილის 10 საათზე ქ. თბილისში, „ცეკავშირის" სხდომათა დარბაზში (თავისუფლების მოედანი, 7) ჩატარდება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ნამდვილ წევრთა საერთო კრება. მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 9 საათიდან. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 22-30-70, 22-30-63.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ფეხმალაროზში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" სავაჭრო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 60434